

# დასავლეთი საქართველო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

M A R S

1931—№ 65

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## ჩ ვ ე ნ ს ა ღ ა რ ა ჯ ო ზ ე

ჩვენი სადარაჯო—ჩვენი 26 მაისია, სადარაჯო მუდმივი, საბრძოლველი შეუჩერებელი, ფარანი ჩაუქრობელი. ჩვენ, და ჩვენთან ერთად ყველა შეგნებულნი ქართველი, ვდგევართ ერთად ამ სადარაჯოზე, ვდგევართ მტკიცეთ, შეურყევლათ, ხელი-ხელ ჩაკიდებული, ერთგული და ერთსულოვანი.

გადის დრო, მისდევს თვე თვეს, წელი წელს, ჩვენ მაინც ვდგევართ იქ, სადაც თავიდანვე დადექით, სადაც დაგვაყენა ქართველი ერის ინტერესებმა და მიხმა ნებისყოფამ, უდარაჯებთ 26 მაისის ისეთივე მხნეობით და იმედით ამ მეთერთმეტე წელიწადს, როგორათაც უდარაჯებდით პირველ წელიწადს. ეს სადარაჯო გარდაუვალაია, წმიდათა-წმიდაა, ჩვენი ტაძარია, რომლის საკურთხეველში მუდამ იკმევა ერის საცეცხური და იდიდება ხატი თავისუფლების.

26 მაისი—ეს სამიღვემჩიო მიჯნაა, გავლებული კეთილს და ბოროტებას შორის. მისი მოწინააღმდეგენი ბოროტების მოციქულნია, მისი ერთგულნი კეთილის მთესველია, სამშობლოს და ერის მოამაგენია. ეს აშკარა, უდაო დროშაა, აღმართული ქართველი ხალხის გულში.

მეთერთმეტე წელია მტერი ებრძვის გააფთრებით, ყოველნაირი საშუალებით ამ დროშას, ამ მიჯნას, მის სამუდამოთ აღმოსაფხვრელათ, კეთილის საბოლოოთ დასაძლევათ.

და ჩვენ აქ, უცხოეთში, სადარაჯოზე მდგომი გავყურებთ სამშობლოში წარმოებულ ამ სამკვდროსასიცოცხლო შებმას და რას ვხედავთ? ვხედავთ მტერს ყოველივე გავლენას მოკლებულს, ნიადაგ დაკარგულს, ხალხისაგან სავსებით განმარტოვებულს და მით უფრო და უფრო გაბოროტებულს. რაც უფრო ის მიექანება სიკვდილისაკენ, მით უფრო კარგავს სულის სიმშვიდეს, სინამდვილის გაცებას, ხედავს მათი საქმის განწირულებას და მიმართავს ახალ-ახალ საზიზღარ საშუალებათ წყალზე ფეხით გასაჩერებლათ. დაჟერამ, დახვრეტამ, გადასახლებამ

ვერ გასურა, მებრძოლი ერი ვერ დაიმორჩილა. ახლა აამუშავა ცილისწამება, შეთხზა ყალბი ბრალდებები, გადმოანთხია აშკარა სიცრუე და გესლი და ლამის ამ წუმპეთი ჩვენს დამორჩილებას, ქვეყნისათვის გზაკვალის აბნევას. ტყული იმედია, წყალწალბულის ხელმოსაქიდი ხავსია; ეს მოწმობს მხოლოდ ჩვენს სიმაგრეს და მათ დაუძლურებას, ჩვენს სწორ გზაზე ყოფნას და მათ დაბნეულობას, ჩვენ მიერ მარჯვეთ ცემას და მათ მიერ გლახათ მოგერებას. მოლალატეობა, გამცემლობა, პოლიტიკური ზნედაცემულობა მათი უკუჩნებელი სენია, მათი წაუშლელი დაღია; ისტორიამ მათ შუბლზე მოლალატის სახელი გამოკვეთა და ის დარჩება სამარადისოთ. გაღმა გადავებით, გამოღმა ვერ შერჩებათ. კეთილს ვერ დასძლევს ბოროტება.

გვესმის, გვესმის კარგათ მტრის აცერცეტება. დიდი ხანია ის ცდილობს თავისუფალ უცხოეთშიაც ჩააქროს საქართველოს ლამპარი, ცდილობს, მაგრამ ვერ შესძლო, ვერ დაანგრია ჩვენი სადარაჯო, ვერ დაქსაქსა თავდადებული მოდარაჯენი. ახლა, მისი აღსასრულის მიწურულში, შესძლებს კი? რასაც ტყვია ვერ ერევა, სიცრუე მოერევა? როცა მტერი ამ ოცნებას ეძლევა—ის დამარცხებულია, იმას დიდი დღე აღარ უწერია.

ჩვენ ვდგევართ ჩვენს სადარაჯოზე და ვიდგებით იქ სანამ სადარაჯო იარსებებს, სანამ 26 მაისი არ გაიმარჯვებს და ერი მონობისაგან არ განთავისუფლდება. დეე, შეძრუწუნდენ ძალადობის და სიცრუის მოციქულნი ამ გამარჯვების მოლოდინით, ისინი კარგავენ ყველაფერს, ხალხი კი კარგავს მხოლოდ თავის ბოროტებას და იძენს თავისუფლებას, თავის თავის ბატონობას და პატრონობას.

26 მაისი მათი საფლავია, ჩვენი აღდგომაა. ჩვენ ამისათვის ვმუშაობთ, ჩვენ ამას ვდარაჯობთ....

ნ. ქორდანიას.

ჩ ვ ე ნ ი      ზ რ ო შ ა

ცამეტი წელიწადია მას აქეთ, რაც პირველათ აფრიალდა ჩვენი დროშა ტფილისში, საქართველოს ყველა კუთხეში. ათი წელიწადია მას აქეთ, რაც ის ჩამოხსნა ვერაგმა ხელმა და იქცა გმირულ ბრძოლისა და აჯანყების დროშად. მტერი დაეძებს მას, სამფეროვანს, ტყვიით დაცხრილურს, უჩინარს. ამაოთ! მან ჰპოვა სამკვიდრებელი ქართველის გულში, მტრისათვის მიუწოდებელში, მიუკარებელში.

რა დარჩენია მას, მტერს, თუ არა გულის გაპობა და იქიდან დროშის ამოგლეჯა?! და ის სხადის ამ ველურობას ათი წელია, განუწყვეტლივ, ბრანზმორეულათ, მეთოდურათ. ესეც ამაოთ! გულგაპობილნი, მამულსთვის წამებულნი, ვინ მოსთვლის მათ სახელებს, თვით იქცენ უჩინარ დროშად და მიუძღვეზიან მშობელ ერს ახალ საგმირო საქმეებისკენ.

ერთს აქაც გაუგმირეს გული, პარიზში, სადაც საქართველოს ხელმწიფობის დროშა ფრიალებს— ნოე რამიშვილს, ქვეყნის ერთგულს, სახელოვან პატრიოტს.

მაგრამ დახეთ მტრის სიმუნთლეს, მისი ბინძური ხელი ლამობს მისწდეს თვით ნოე ჟორდანიას, ქართველმა ერმა 26 მაისს თავის ბელადად რომ აირჩია და დროშა გადასცა! რა არის ამაში მეტი: სიმდაბლე თუ სიავაზაკე, სიგჟიე თუ სისულელე, სიბილწე თუ სილაჩრე, თუ ყველა ერთათ?

ყველა ერთათ და... სასოწარკვეთილება! ვერ იქნა ვერ აღმოფხვრეს ქართველის გულიდან დაუცხრომელი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი, ვერ გასტენეს, ვერ შეუხუსტეს ბრძოლის უნარი, ვერ ჩაუქრეს იმედი უკანასკნელ ორი წლის რისხვა-კოლექტივიზაცია, რომლითაც ნაცარ-მტერათ აქციეს ხალხის სარჩო-საბადებელი - ეს რისხვაც ვერა სჭრის, ვერ შლის ერის მთლიანობას, დარანზმულობას.

ათი წლის ტანჯვა-წამებამ ერთი დიდი განძი შეგვიძინა: ქართველმა ერმა იცნო თავის თავი, გადააწნა თავისი აწმყო შორეულ წარსულს და ათასეულ წლების გამოცდილი უშიშრათ შეუდგა მომავლის გამოქვედას. არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ ორგანიულ ჯაჭვიდან ერთი რგოლის ამოგდება, ერის დაბრუნება რუსეთის ბატონობის უისტორიო ბეჩავ ხანისკენ; მისი არსი შემოვლებულია გადაუვალი უჩინარი გაღავნით, რუსული ნიდილიზმი აწ ვერ შეიჭრება იქ, ვერ მოწამლავს ერის სულს.

სწორეთ ერის სულის მოწამვლას ლამობს ავაზაკი—მტერი, სურს მის ბელადს დროშა ხელიდან

გააგდებინოს, დაუბადოს მის შემყურე ერს იჯვი, შიში, უნდობლობა. სტალინმა გაუსწრო ლენინს ცინიზში. მხოლოდ თავის ქვეყნის მოლალატეს, მის წმინდათა წმინდის წამბილწველს, გადაშენებულს, არამზადას შეეძლო მიემართნა ასეთი გაუგონარი ჯამბაზობისთვის. მას რომ ქართველის ერთი წვეთი სისხლი შერჩენოდა, მიხვდებოდა, რა უსაზღვრო შეგინებაა ერის, უბრალო ფიქრი იმაზე, რომ ის გასცვლის თავის ბელადს, ან კიდევ შეიცვლის მასზე აზრს.

ეს ახალი შემოტევა სასოწარკვეთილებით არის გამოწვეული, მტერმა დაჰკარგა წონასწორობა. ვინაიდან შინ ვერას გახდა, ის ლამობს გარედან დაჰკრას ერს. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ მტერმა ამოიღო მიზანში უცხოეთში მომუშავე ერის ხელმძღვანელები, რათა მოჰკლას ისინი პოლიტიკურათ და საცა გაუშვა ფიზიკურათაც.

რას უყენებენ წინ ამ ლაჩრულ და ავანაკურ მეთოდს ჩვენი ხელმძღვანელები, მთელი ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია? პასუხი ერთია, ორი არ არსებობს. უნდა გადავეშვათ სულიერათ სამშობლოში, ჩაწვდეთ ერის გულისთქმას, ვეზიაროთ მის განცდებს და მაშინ ვიგრძნობთ, რომ ხსნა ერთობაშია, მთლიანობაში. თავისუფლება აზროვნებისა და მოქმედების, რომელსაც ჩვენ ვსარგებლობთ დასავლეთში, იმისათვის კი არ უნდა გამოვიყენოთ, რომ გავითიშოთ, დაგქუცმაცდეთ და მტერს გავუადვილოთ ჩვენი განადგურება.

განა ჩვენი ერი არ იყო თავისუფალი, როგორ გამოიყენა იგი? აიღეთ თუ გინდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუცია, განა არ კამათობდენ ორი წელიწადი, მაგრამ დამფუძნებელმა კრებამ იგი ერთხმათ მიიღო. ერთობას, მთლიანობას თავისი ბაზა უნდა ჰქონდეს—ესაა კონსტიტუცია. საქართველო დღეს დაკავებულთა მტრის მიერ, ხოლო ხვალ რომ აღსდგეს, მასთან ერთათ აღსდგება კონსტიტუცია, რითაც დავიწყებთ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

ეროვნული მთავრობა, მისი თავმჯდომარე მოწოდებული არიან დაცივან ერის ეს პრეროგატივები უცხოეთის წინაშე. მათ ირგვლივ უნდა შემოკრბენ ყველა დაჯგუფებანი და მათი ხელმძღვანელები—აი რას მოითხოვს ქართველი ერი, მისი საარსებო ინტერესები.

ერთი დროშა, ერთი ერი—აი სადღეისო ყიყინა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ქართ-



ველ ერისა. და როცა ამ დროშის ქვეშ დავირახმებოთ, ჩვენ შევძლებთ მტრის შემოტყვის მოგერებას, იქით გადასვლას შეტევანზე.

ბევრი ეცადა მტერი, დღესაც ცდილობს მოხსნას ჩვენი დროშა საქართველოს სრულუფლებიან საელჩოდან, მას იგი ვერ მოუწვდებიან, თვალს ვერ უჩერებს, ვითა ავი სული, საქართველოს სახელმწიფო ღერბს. ნუ თუ ჩვენ თვითონ უნდა გავუადვილოთ მას ამ მზაკვრულ განზრახვის სისრულეში მოყვანა? არასდროს! მაშინ ჩვენ არ ვიცნობთ ქართველ ერს, მის ბუნებას, საუკუნეთა გასწვრივ გამოქანდაკებულ ხასიათს.

საქართველოს საკითხი სულ მუდამ წეს-რიგშია საერთაშორისო სამსჯავროს წინაშე, უნებვინა, მისი დასმა, განხილვა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მდგომარეობა საბჭოთა კავშირში, იქაურ არარუს რესპუბლიკებში.

ქართველმა ერმა აღდგა აულა შექმნილ პირობებს. მარტოხელა ბრძოლის ველზედ, ის ვერ შესძლებდა მიზნის მიღწევას; საბჭოთა კავშირში კი მასავით ბევრი ჩაგრული ერები იბრძვიან თავისუფლებისათვის. მათთან გადაბმა, განსაზღვრულ მიზნით

ტაქტიკური ბლოკი—აი რა უკარნახა მას ისტორიულმა მომენტმა.

მათ შორის ხომ მეზობლებიცაა, სამი ძმა-ერი, რომელთანაც ქართველ ერს უტყვოვრია საუკუნოები და იცხოვრებს მომავალშიც. ხოლო ამ ურთიერთობას თანამედროვე პოლიტიკური ფორმა ეუივრებოდა, რაიცა კიდევ გამოინახა კავკასიის კონფედერაციის სახით, და გულისხმობს საერთო საბაჟო საზღვრებს, სამხედრო კავშირის და დიპლომატიურ მთლიანობას უტყვოეთის წინაშე.

კავკასიის ერები იდღესასწაულებენ ამ მისის თვითეული თავის დამოუკიდებლობის წლისთავს. 26 მისი გახსნის ამ დღესასწაულებს, და ამას სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს საქართველოსთვის. სწორეთ ის არის გეოგრაფიულათ, პოლიტიკურათ, ინტელექტუალურათ კავკასიის ცენტრში, და აქედან ქართველ ერის და მის ხელმძღვანელთა მოვალეობა დიდია და საპატიო, საპასუხისმგებლო.

შეგვიძლია ვიქნეთ იქვი, რომ ისინი ვერ იქნებიან მოწოდების სიმალეზედ? არა, ცხადია.

მაშ გავშალოთ ჩვენი დროშა, 26 მისის დროშა, და შევძახოთ: წინ მშობელო ერო, გამარჯვება შენია!

2 6 მ ა ი ს ი

«პანტა რეი».—ყველაფერი წარმავალია, სთქვა საბერძნეთის დიდმა ფილოსოფოსმა, დიდმა პესიმი-სტმა პერაკლიტემ.

ქვეშარტად, რომ ყველაფერი წარმავალია, ოღონდ სიტყვა «ყველაფერი» განმარტება სჭირია. ყველაფერი ნიშნავს ამ შემთხვევაში გარეგანს, «რეალურ» მოვლენათ, იმას, რასაც ვნედავთ, ფორმას. გარნა ამ წარმავლის გარშემე არის ისეთი რამ, რაც ყოფილა, არის და იქნება, ვიდრე ადამიანის გონება და აზრი არსებობს.

მნიშვნელოვანია, რომ სწორედ იქ, სადაც «მტირალი» ფილოსოფოსი ჰქადაგებდა თავის სასოწარმკვეთ თეორიას, გაჩნდა მეორე, რომელმაც იდეათა სამელობელოს კარი გაუღო ადამიანის გონებას.

დიად წარმავალია დღევანდელი დღე, წარმავალია მისი ჰირი და ვარამი, ჩვენი ყოველდღიური პატარა დარდები და მიწიერი სიხარული, წარმავალნი ვართ თვითონ ჩვენც, ოღონდ საუკუნო და დაუსრულებელი არიან და ურყევი დარჩებიან სიმართლისა და სიყვარულის მალალი მცნებანი, და მათ შორის ადამიანის და, მათასადამე, ადამიანთა, ანუ ხალხთა, თავისუფლებაც, რადგან თავისუფლება სიმართლის ერთი და უმთავრესი გამოხატულებია.

«განყენებული» მცნებანი, სთქვას ვინმე იქნება. დიად, რომ «განყენებული»!

მადლობა ვანგებას, რომ განყენებული!

განყენებული რომ არ იყოს, ისინიც ხომ სხვა რეალურ მოვლენასთან ერთად წარვიდოდენ.

განყენებული არიან, და ეს არის ამ ქვეყნის ბედნიერება.

ისინი არიან ის საუკუნო ყალიბები, რომლის მსგავსად ჩამოხსნება ის დროებითი და წარმავალი, რომელთაც ჰქმნის ჩვენ გრძობათა და გონების ყოველდღიური მუშაობა, ისინი წარმართავენ ამ დროებითს და წარმავალს და უახლოვებენ და ამსგავსებენ ქვეშარტების განყენებულს სრულსა და უცვლელს მცნებას...

ცამეტმა წელმა განვლო ჩვენი ერის თავისუფლების აღდგენის დღიდან.

ათი წლის თავი შესრულდა ამ ბედნიერის დღის დაბნელებიდან.

სამის წლის თავისუფლება და ათი წლის მონობა. ბნელისა და ავის სასარგებლო პროპორცია თითქო?.

მოკლე სვლისა და საწყალის გონების დასკვნა!

რამეთუ სიმართლე, ქვეშარტება ამ სამს წელს შია, მათშია მოთავსებული იმ «განყენებულ» მცნებათა მთელი აზრი და შინაარსი, რომელიც არ არის წარმავალი, არამედ საუკუნო და უცვლადი.

ვისურვოთ რამე?

რა საქირთა? რადგან იყა სიტყვა და სიტყვა იგი დმერთი, ანუ ქვეშარტება.

ჩვენ ვერ დავჩქაროთ, იქნება, როგორც გვწადია, ამ სიტყვის გამეფება, მაგრამ ვერც მისის გამარჯვებულის წინსვლის შეჩერება ძალუძს ბოროტების უბადრუკ და უძლურ სულსა და ხელს.

მ ა ნ ი ს ა თ ზ ი ს

ტანჯვათა შინდის ხაშკეთა  
დამისახავდი...

ბ. ბარათაშვილი.

შუქიანი იყო ის დღე. მნათობის ჩასასვენებლათ ერთი საბელის სიგრძე და დარჩენოდა, მაგრამ ის როდი ეშურებოდა სამყაროს კიდისკენ:

თითქოს ენანებოდა თვალის მოწყვეტა უცნაურ სანახაობისაგან, ემიძიებოდა შუქის წატანა. ეთაკილებოდა საქართველოს სადარბაზოზე მოფრიალე სამფეოვანი ბაირალის განმარტოება...

ის კი თბილ სხივებში განბანილი მხიარულათ სცემდა კალთებს, საამოთ იხრებოდა სასახლესთან მოზღვავებულ ხალხისაკენ.

იმ დღეს სრულდებოდა დიადი მსახურება: შეუფერხებელმა ქამთა სვლამქთანმიმდევრობა დაიბრუნა, «ქართლის ცხოვრების» დამტვერებელი ყდა მეორენელ გადიშალა, შთაიწერა შეწყვეტილი მოთხრობა ქართველი ხალხის მიერ უხსოვარ საუკუნოებიდან გარდახდილ ბრძოლებისა თავისუფლებისათვისა და სახელმწიფო სამკვიდრებელის შემომტკიცებისათვის.

მუქ ცაზე მზე მიცურავდა ლაღათ, რადგან იცოდა, რომ მას უამბოთ არ გამოემშვიდობებოდა დიდი ამბის გამგონე ხალხი...

«მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო თავისუფალი სახელმწიფო იყო», ასე ეუწყა სასახლის აივანიდან სმენად გადაქცეულ ჯამათს. მაგრამ ეს ხომ მზემ წარსულშია იცოდა!

«დღეს საქართველომ დაიბრუნა წატაცებული თავისუფლება, იგი კვლავ სახელმწიფო შეიქმნა», განაცხობდა ეროვნულ საბჭოსის მახარობელი! გულის სიღრმიდან აღმოვარდნილმა ვაშას გრილმა შემდგომი სიტყვები აღარ მოუშვა სმენამდის, ხოლო ნაკადათ მოღვრილ ტრემლებმა თვით მოამბეც უჩიარო ჰყვეს...

იდუმალი გრძნობების ამშლელი იყო სანახაობა იგი: შიგ დარბაზში ერის წინამძღოლნი აკანონებდნენ საქართველოს მკვდრეთით აღდგომის აქტს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ რუსეთის მიერ მიმძღავრებულ დანაკუწებულ ქართლის სხეულის ნაცვლად, ესლა იქმნებოდა საქართველო სრულიათი, იმ სახითა და შინაარსით, რაიცა 1790 წ. ერეკლე მეფესთან სავედრებლათ მოსულ ამერეთ-იმერეთის რჩეულთ დემუდამი საოცნებო ზმანებათ გარდაქცეულ ჰქონდათ. გარეთ კი მღელავი ხალხი დროშის წინ ფიცს სდებდა თვითმყოფი და მთლიანი საქართველოს უქირველად, უტრცვენელად და მშვიდობით შენახვისათვის!

ნახულ-გაგონილით დამტკბარი მზე უკანასკნელ სხივებსა ჰკრეფდა ბაირალიდან.

საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნების სხდომა დამთავრდა, გარნა არც მთავრობასა, არც დეპუტატებსა და არც უთვალავ ხალხს ძაღუქდა იმ დროს სასახლის მოედნის მიტოვება. რა უყოთ, რომ მზე მოგვშორდა? ესლა ღამის მნათობნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ განახლებულ დროშისათვის სხივების მისაფენად!

უფრო გამუქდა შინდის ფერი, ბაირალზე დანაშთენებზე მეტად რომ არის დახატული. ამ ფერს ისტორიული ახსნაც აქვს, გარნა იგი ალეგორიითაც არის ამეტყველებული; მწიფე შინდი იგივე სისხლია, ქართველ ერს რომ თითქმის განუწყვეტლივ ენთხეოდა ხსოვნაყრილ ქამთაგან... ბედი ასე უწერია ამირანს: მისი იარები გამრთელებას ვერ ასწრებენ, ანჩხლი და მშური მტრები გმირის წყლულებს კიდევ და კიდევ ჰლადრავენ,—

კავკასიის ქედზე იყო  
ამირანი მიჯაჭული,  
ყვავ-ყორნები ეხვეოდა,  
დაფლეთილი ჰქონდა გული...

მაგრამ ერთი მგონის თქმისა არ იყო, მაინცა «ეცოცხლობდით, მოყვარულნი მნის ტრიალისა». და ქართველობაც აი ამ სიცოცხლის ნდომის უნარით, ვაქაცური ომებით და განსაცვიფრებელი თავდადებით თვალის გუგასავით ინახავდა მშობელი ქვეყნის თვითმბრძანებლობას!

სამშობლოს სიყვარულსა; მისთვის თავგანწირვასა, მისი შეგნებისა და დიდებისათვის თავისი სიცოცხლის უკუგდებასა,—მამანი საღმრთო ანდერძათ უდებდნენ ახალთაობას:

ქართლის დედაო! ძუძუ ქართველისა  
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,  
დედის ნანასთან ქვითინი მთისა  
მას უმზადებდა მომავალ გმირსა!

ოცდაექვს მაისს დღეს ვიგონებთ ტყვედქმნილნი, დაობლებულნი, გაპარცულნი, შეძრწუნებულნი, მტრის ნამგლით შეთხელებულნი, ჩაქუჩის ცემით ჩაკუბულნი...

წარვიდნენ დრონი ღზინისა, ჰე მამულო! გწვავს და გავერანებს მოსული ოხერი, ველარ გამძღარა შენის სისხლითა!

გიყურებთ. გული დუღდების,  
ძლივს და გვენძრევის ენაო»...

მეთერთმეტეა ასეთი მაისი,—აწმყოსაგან განშორებული, ხოლო ნაყოფი შარავანდუმოსილი და მყობადით იმედების აღმძვრელი...

ხოლო კიდევ უზომო ღრმა რომ იყო ამქამინდელი იწროება, ვინ იტყვის, რომ 26 მაისი წარინოცა, უკვალოდ შთაჰხდა განვლილობაში? ამას არ იყაბულებს ცნობაში მოსული აწინდელი ქართველი; ეს არ შეესაბამება ჩვენი ერის არც წინასაუკუნოებში და არც თუ ჩვენს თვალწინ გარდახდილ ბრძოლებს; და კიდევ—ეგუებთ სიდუხჭირის ვახანგრძლივება იმ უროცხე სამარეებს, სადაც საქართველოს ბაირალზე შეიციკლები განისვენებენ?!

იბნევა ნისლი, გადიწმინდება მწუხრის ზეწარი, და მზეც კვლავინდებურათ მოლხენით ამოანათებს

და შუქი მისი უმაღლვე ქართულ დროშას მიეფინება.  
განა არ აწვდის თქვენ ყურამდი გუგუნის მთის  
არწივებისა?  
განა ვერ ამჩნევთ ცეცხლის მხედრების მრისხანე  
სამზადისს?

დაპრეკავს წარი და გადმოეხეტება ქეჩა-ქუხი-  
ლის ღვარი მტერსა ზედა!—  
მაისის წვიმავ წამოდი,  
გული სევდისგან გაბანე...  
რ. ინგილო.

ბ რ რ ტ ი უ გ ნ უ რ მ ბ ა

ათი წელია რაც რუსეთიდან შემოსეული ბოლ-  
შევიკური ჯარდები სჯიჯგნიან საქართველოს, ანა-  
დგურებენ მის ნივთიერ და სულიერ დოვლათს.

იტანჯვის, იტანჯვის ერი და თითქოს მის ტანჯ-  
ვას ბოლო არ უჩანს, არსაიდან შველის ხმა, არსაი-  
დან დასახმარებლათ გამოწვდილი ხელი; თითქოს  
ქრეშმარტების კარები სამუდამოთ ამოიქოლა, თით-  
ქოს გაქრა სიმართლის მზე, დაიკარგა ადამიანობა,  
სინდისი, კეთილშობილება, სიყვარული... ყოველივე  
ის, რაც ყოფნის აზრია, ცხოვრების ხალისია, და  
მსოფლიოს ბოროტება და ცინიზმი დაეფულა.

მართალია, კაცობრიობა ტანჯვაში იშვა და  
ტანჯვით იკვლევს გზას, მართალია, ქრეშმარტების  
ღმერთი ბევრჯერ ყოფილა წამოჩოქებული, სამარ-  
თლიანობა აცრემლებული, სინდისი შელანული,  
მაგრამ ისეთი ბოროტება, როგორცაც ბოლშევიკები  
ჩადიან საქართველოში, ისტორიას არ აღსოვს.

ყოველ დღეს ახალი მსხვერპლები, ახალი ტანჯ-  
ვები, ახალი ცრემლები.

და მერე რისთვის ყოველივე ეს?—ბოროტი უგ-  
ნურობისათვის.

უგნურები ყოველ გზაჯვარედინზე გაკივიან—  
სოციალიზმს ვამყარებთო. ნამდვილათ კი ქრეშმარტ  
ჯოჯოხეთს ქმნიან, ანადგურებენ ყოველსავე მას,  
რითაც ადამიანი ადამიანობს. რაც ცხოვრებას აზრს  
აძლევს, ამაღლებს. აკეთილშობილებს.

სოციალიზმი უმაღლესი მორალური და ნივთიე-  
რი კულტურაა. ერის და პიროვნების ყოველმხრივი  
წარმატება სრული თვითმოქმედების და თავისუფ-  
ლების ნიადაგზე, ბოლშევიზმი კი ყოველივე ამის  
უარყოფაა.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართველი ერი ბოლ-  
შევიზმს ვერ ურიგდება და მის წინააღმდეგ დაულა-  
ლაგ ბრძოლას აწარმოვებს. ამას თვით მოძალადენი  
ადასტურებენ. «მტერი გააფთრებულ წინააღმდეგო-  
ბას გვიწევს, მოგვითხოვს ქართული «კომუნისტი»  
ის მიმართავს ბრძოლის ყოველგვარ ფორმებს და  
საშვალეებს, წინააღმდეგობას გვიწევს აშკარათ და  
ფარულათ. ჩვენ ვვაქვს მთელი რიგი შემთხვევებისა,  
როდესაც ღარიბი და საშუალო გლეხები კოლმეურ-  
ნობათა წინააღმდეგ გამოვიდნენ».

ასეთივეა მშრომელი ინტელიგენციის დამოკი-  
დებულება ბოლშევიკებისადმი. ამასაც იგივე «კო-  
მუნისტი» მოგვითხოვს: ინტელიგენცია ბოლშე-  
ვიზმს ვერ ურიგდება, მას გაურბის და მის წინააღ-  
მდეგ მანებელ მუშაობას აწარმოებს. ამიტომ დავ  
კრათ მასო. «ჩვენ ამ ქამათ მთელ საბჭოთა კავშირში  
ვაწარმოებთ კონდრატიევილოვის, რამზინელოვის

და სხვ. ნაშთების აღმოფხვრას. ეს ამოცანა დასახუ-  
ლია ჩვენ წინაშე ამიერ კავკასიაშიც. ესლა უკვე არ  
კმარა იმის თქმა, რომ მე ვსწრებ საბჭოთა ხელის-  
უფლებას და ვიმუშავებ თქვენთანო. ესლა საბჭოთა  
ინტელიგენცია უნდა სთქვას, მე თქვენთანა ვარო...  
ამ გვართ მშრომელი ინტელიგენციაც ხალხთან  
არის, მის ბედს იზიარებს, მასთან ერთად განაგრძობს  
თავისუფლებისთვის ბრძოლას. ყოველ დღეს მოაქვს  
უამრავი მსხვერპლი.

სულს სძარცვავენ, აწამებენ, ცდილობენ მორა-  
ლური უდაბნო შექმნან, რომ შეუძლებელ იქნას ბო-  
როტების დანახვა და მხილება. რომ ამ მიზანს სწრა-  
ფათ მიაღწიონ, წართვეს ხალხს სარჩო-საბადებელი  
და ლუკმა პური სანატრელი გაუხადეს. შიმშილით  
სიკვდილი მოელის ყველა მას (თუ ჩეკის დანას  
დაუკლავი გადაურჩა), ვინც მუცლით მხოვავი მონა  
ბოლშევიკი არ იქნება. და ამის შედეგათ ისპობა სა-  
სოფლო მეურნეობა, ნადგურდება—მეცხოველეობა-  
უკანასკნელის შესახებ აი რას ვკითხულობთ ქართ.  
«კომუნისტში»:

«ცხვრის რაოდენობა 1928 წ. შედარებით შემცი-  
რდა 664.000 სულით (33,4 პროც.), ღორის რაოდენო-  
ბა 1928 წ. შედარებით შემცირდა 225.700-ით (30 პროც.),  
მეფრინველეობაში რაოდენობის შემცირება 1928 წ.  
შედარებით შეადგენს 780.300 ფრთას (15 პროც.)».

საინტერესოა იქნება აგრეთვე მოვისმინოთ იმავე  
«კომუნისტის» აზრი ტრანსპორტის მდგომარეობის  
შესახებ. «ტრანსპორტზე მოიშალა შრომის დისცი-  
პლინა, დაიკარგა პასუხისმგებლობის გრძობა და  
გამეფდა ყველაზე უფრო ცუდი ხაზის ბიუროკრატი-  
ზმი. ყოველივე ამის შედეგია მუშაობის ხარისხის  
გაუარესება, პროდუქციის თვითღირებულობის გა-  
ზრდა, მთელი რიგი შემთხვევები რკინისგზაზე, სატ-  
რანსპორტო ქონების დაზიანება და განადგურება,  
რაც საფრთხეს უქადის წესიერ მოძრაობას და სატ-  
რანსპორტო მეურნეობის განვითარებას».

ასე ანადგურებენ რუსეთიდან შემოსეული ურ-  
დოები სახალხო ქონებას, ანდგურებენ თვით ხალხს,  
მის აწმყოს და მომავალს, მაგრამ ასეთი ვითარება  
მუდმივი ვერ იქნება, რადგან ბოროტებას საბოლო-  
ოთ არასოდეს გაუმარჯვია; ჩვენი საქმე მართალია,  
მას არ აქვს მხოლოდ ადგილობრივი და დროული  
მნიშვნელობა. ჩვენი დამარცხება საკაცობრიო სინ-  
დისის დამარცხება, ისტორიის პირუკულმა შეტრია-  
ლება იქნებოდა; ჩვენი საქმე მართალია და ჩვენ გა-  
ვიმარჯვებთ და ვაი მათ, ვინც ამ დიდ საქმეში ჩვენ  
წინააღმდეგდება.

ილია ნუცუბიძე.

ჩ ვ ე ნ ი მ ა ი ს ი

ულმობელ ზვირთთა გრიალში იმსხვრეოდა მსოფლიო გემი! «თავს უშველეთ!»-ო-ისმოდა ხმები!

დიადი ბრძოლით სამშვიდობოზე გავიდა ქართველი ერი და სიცოცხლის დროშა აღმართა გამარჯვებულმა!

თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო დამკვიდრდა! ქართველი ხალხის მარადული თვისებანი: განუტეხელი ნების-ყოფა და მედგარი ბძოლა სიცოცხლისათვის—აქანდაკედან!

26 მაისი გახდა გვირგვინი ქართველი ერის უდიდესი გამარჯვების, გვირგვინი მისი დიადი შემოქმედების, გვირგვინი ყველა მის გვირგვინზე ძლიერი და ულამაზესი!—გვირგვინი, რომლისთვის იგი მრავალ საუკუნეთა მანძილზე მარად იბრძოდა განუტეხელი—და აი,—აღსდგა კიდევ განუყოფელი საქართველო, მთლიან გვირგვინით მორთული!

\* \*

26 მაისი სიცოცხლის წყაროა განუწყვეტელი! —მოდინდა დიად ნაკადათ და ქართველი ხალხი მას დაეწაფა მოწყურებული! ამეტყველდა მტკვარი, რიონი! მორწყეს ჩვენი ყანები-მინდვრებ-ველები!—აფერადდენ მთები, ტყენი და ბაღები! მორთეს ჩიტებმა საამო სტევენა! ქართულ ხმებით ამღერდა ჩვენი ბუბუბუ!—აღდგა ჩვენი დედა-ენა, წიგნი, ქართული სკოლა, თეატრი,—და უმაღლესი ჩვენი კულტურის სახე—ქართული უნივერსიტეტი!

ქართველმა ხალხმა იგრძნო თავისუფლება თავის ერის, გზა გაიკადა მომავლისაკენ! ახალმა თაობამ ფრთები გაშალა ბუნებრივი განვითარების, მშობლურ კერაზე თავისუფლათ დგომის და წინ მსვლელობის! ჩვენი გზები ამოდრავდენ სწორათ, თამამათ, თავისუფლათ!

—«საქართველოს ხალხი დღეიდან სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულყოფილიანი დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ომიანობაში მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა» —დააკანონა ქართველმა ხალხმა და შეუდგა საკუთარ საქმეთა შენებას, წინამძღოლობას!

აფრიალდა სამფეროვანი დროშა! გაისმა ირგვლივ მშობლური პიშნი!

\* \*

3 წლის არსებობა ჩვენი აღდგომის!... ეამი—ჩვენი თვის მუდმივად დაუვიწყარი! რახმები—ნეტარ წუთების!— შემდეგ კი—რახმები შავი ფიქრების, გლოვის, ცრემლების! რა მოხდა? ჩრდილოეთიდან მოდინდა წითელ-რუსების დიდი ლაშქარი—მოდინდა წითელ ჩექმებით, ჩაქუჩებით, წითელ ხიშტებით!—და ფიზიკურათ დაგვიპყრეს ჩვენ! წინათ შავი რუსები, ახლა წითელი რუსები იპყრობენ ქვეყნებს, ხალხებს, ანადგურებენ სხვის კულტურას, სხვის ბინებს, ცეცხლით და მანვილით თავს ახვევენ თავისს წითელ სარწმუნოებას! ქვეყნების დაპყრობა იყო თვისება შავი რუსეთის,—სხვა ერების დაპყრობა არის იგივე

თვისება დღევანდელ წითელ თვითპყრობელობის! გავერანებულ წითელ რუსეთს საქართველო სჭირდებოდა სიმდიდრისათვის, გზათ და ხიდათ ხელ-ახალ დაპყრობისათვის, ახალი მოგებისათვის! საქართველო შეგებოდა მოდენილ დამპყრობთ, დაღვარა სისხლი! უხვმ-უამრავმა ძალამ დასძლია სუსტი! დაიპყრეს ჩვენი თვილისი, ჩვენი ქვეყანა! შეწყდა ქართული პიშნი, გამეფდა გლოვა! ატირდა ქართველი დედა დახოცილ გმირთა საფლავზე!...

\* \*

ქართველი ხალხის სული აქტივია და უტეხი! მისი თვისება თავდაცვისათვის მუდმივია და უკლები!—იარსება 3 წელი დამოუკიდებლათ—მოვიდა თებერვლის ბორკილი!—განვლო 3 წელმა მონობის და დადგა აგვისტო ისევ აღდგომის, ამოდრავების, ბორკილების ისევ დამსხვრევის, კვლავ ამეტყველდა სისხლი დაპყრობილ საქართველოს! ატირდენ ისევ ჩვენი დედები, გასწყვიტა მტერმა ქართველი ერის საუკეთესო შვილები—დახვრიტა, განდევნა, განადგურა! მტარვალი ისევ ფარფაშობს საქართველოში, მტარვალი ისევ გამარჯვებას დღესასწაულობს ჩვენს ქვეყანაში! საქართველო კვლავ მონობის ბორკილს ატარებს!—და მინც არ დრკება ის, მინც თავისას არ იშლის, მინც თავისს გზას განაგრძობს—ამოდრავების, ბორკილების მსხვრევის, თავისთფლების!

\* \*

ფიქრები, ისევ ფიქრები!—ფიქრები რწმენის და იმედის, ფიქრები გამარჯვების და ჩვენი დიდი მომავლის! როდის დაჰკრავს საათი ახალი ჩვენი აღდგომის?—ვერ აღვნიშნავთ ამ ეამს! მაგრამ აღნიშვნა გამარჯვების ცხადია და ნათელი! ქართველი ხალხის საქმენი თავდებია ჩვენი დიდი მომავლის—საკუთარი არსებობის! ქართველ ხალხს აარის ყველა ეს ჩვენი ფიქრები, ჩვენი სიტყვა და საქმენი! ქართველი მთავრობა—შვილია ქართველი ხალხის, მან აირჩია ის ნდობით—ჩვენი ქვეყნის მსახურათ! მთავრობის ირგვლივ თავს ვიყრით ყველა, მივილტვით საერთო გზით—ერთად ერთ დიად მიზნისაკენ დღეს—აღსადგენათ დამოუკიდებელ-დემოკრატიულ საქართველოს! ბევრი დაბრკოლება, ბევრი ვაება გვიდგება წინ, ბევრი წამება, მაგრამ რწმენით მებრძოლთ გაჰივრება ვერ შეაშინებს, მხოლოდ რწმენით სუსტნი ეცემიან ბრძოლის ეამს და ეს დაწყებულ ქართულ საქმეს ვერ შეაჩერებს!—იყოს ოღონდ ქართველი ხალხის განუტეხელი ნება-სურვილი და მისი მაგალითი ჩვენთვის!...

\* \*

ქართველი ერის ხმა კვლავ გაისმის: გამარჯვებისაკენ! ქართველი დედა კვლავ უმღერის თავისს შვილს, ჩაბორკილს ქართულ აკვანში, უმღერის რწმენის და ძლიერის «ნანიასს» თავისუფლების! — მშობლურ ცრემლს აფრქვევს დახოცილ გმირთა



საფლავზე და მებრძოლებს კვლავ მოუწოდებს გამარჯვებისაკენ!

ქართველი ახალგაზდობა გულით ატარებს სამშობლოს აღდგენის დიადი დედას და ემზადება მომავლისათვის!

ქართველი მუშა, გლეხი, მასწავლებელი, ქართველი მწერალი—სთესენ კვლავ გონებრივ საზრდოს და მალალ რწმენას სამშობლოს თავისუფლების!..

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ლ ა ნ დ ე მ ბ ი

საბა ბერი უკანასკნელ დღეში იყო. ღრმა მოხუცი, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული, კარგად პგრძობდა, რომ უკვე ამ ქვეყნის აღარ იყო. ღონე მიხდილს ძვლისა და ტყავის მეტი არა შერჩენოდა რა, უსაგებო ლოგინზე იწვა, ჩიხა წამოხურული და მოძრაობაც აღარ შეეძლო. რამდენიმე დღეა არა უქამია რა. წყალს თუ დალევდა ჩოღმე ხანდახან.

მისი ფიქრები საიქიოში დატრიალებდნენ, ემზადებოდა ღვთისა და მის ანგელოზს შესახვედრად, ლოცულობდა, იგონებდა თავის ცხოვრებას და შეცოდებათა პატიებას ევედრებოდა შემომქმედს. ორმოცდაათი წელი გაატარა სინას მთაზე, ქართველთა მონასტერში და მთელი თავისი დრო საღვთო წერილის და წმიდათა ცხოვრების გადაწერას და გავრცელებას მოაწოდებდა. საუცხოვო მწიგნობარი იყო და მისი ხელით ლამაზად გადაწერილი წიგნები მთელ საქართველოს მონასტრებსა და ეკლესიებში და უცხოეთშიაც მრავლად მოიპოვებოდა. ზედმიწევნით იცოდა ბერძნული, სირიული და კოპტური და უცხოთა თარგმანებს მოიხმარიებდა, როდესაც სისწორით ვერ ამოიკითხავდა ქართული დედნის სიტყვებს. მამლის პირველ ყივილზე რომ წამოდგებოდა, გვიან ღამემდე ეტრატი ედგა წინ და სიყვარულით და ხელოვნებით აღმოებუდავდა ზედ საღვთო სიტყვებს.

ასე მოღვაწეობდა საბა ბერი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართული წიგნისათვის და კმაყოფილი იყო თავის ცხოვრების. მაგრამ ერთი მწარე ნაღველი თან ახლდა ამ კმაყოფილებას და ეს მეტად აღონებდა მოხუცს. ამ რამდენიმე ხნის წინად შეუდგა ოთხთავის გადაწერას ძვირფას ეტრატზე, რომელიც უნდა გაეგზავნა ბაგრატის ახლად აგებული ტაძრისთვის ქუთაისში. წიგნი თითქმის დამთავრებული ჰქონდა, იოანეს სახარების უკანასკნელი თავი აკლდა მარტო, რომ ნამეტნავად დაუძღურებული ლოგინად ჩავარდა და თუმცა ბევრჯელ მოინდომა წამოდგომა და შრომის დამთავრება, მაგრამ ვერ შესძლო.

ეს აშფოთებდა ახლა და არღვევდა მის სულიერს სიმშვიდეს. მიიმე ლოდად აწვა კისერზე და დიდ შემცოდედ მიანდა თავისი თავი. რცხვენოდა, ეშინოდა. ჰკანკალებდა, ცივი ოფლი დაასხამდა. დამნაშავე იყო უფლის წინაშე, დამნაშავე იყო ქვეყნის, თავის ერის წინაშე.

მიჩერდა ღვთისმშობლის ხატს. სდუმდა და ამ დუმშილში უღრმესი ლოცვა იყო. ცრემლს აფრქვევდა...

დაწყევლოთ მტერი, ვინც ბორკილები მოგვგვარა, ბორკილებში ჩაგვჭედა! გვანადგურებენ! სანამ მკვლავი გვაქვს სრული, სანამ გული სცემს ჩვენი, უკანასკნელ მაჯის ცემადის მტერს მედგრაღ შევებრძოლებით! ჩვენი საქმე მართალია და მადლიანი! ჩვენ გავიმარჯვებთ! 26 მაისი მკვდრეთით აღსდგება!..

მიომე.

მეორე დღეს ბერები რომ საბას სენაკში შევიდნენ, ნახეს იგი მკვდარი, მჯდომარე გაცივებული, ეტრატი მუხლებზე ედგა, კალამი ხელში გაქვავებოდა და არჩვეულებრივის სიკოხტავით იყო ამოხატული იოანეს სახარების უკანასკნელი სიტყვა: «ამინ».

არა ერთხელ დამარცხებული სულთნის ჯარი უჩუმრივ, «უგრძნულად» შემოიპარა საქართველოში. მაგრამ ქართველებმა შეუტყვეს და მყისვე ამცნეს დავით აშმაშენებელს, რომელიც ნაქარმაგვეში იყო. მეფე საჩქაროდ გამოემგზავრა თრიალეთისკენ ათას ხუთასი კაცით. მთელი ღამე იარეს, შეუსვენებლად. მტრის ბანაკს რომ მოუახლოვდნენ, დავითმა თავის მეომრებს დასვენება უბრძანა. თვითონ კი დატვირთულ ცხენებიდან თავისი სამგზავრო წიგნსაცავი გადმოაღებინა, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა —საომრად მიდიოდა, სანადირთ თუ სამეფოს მოსავლელად.

გადმოტვირთული საპალნე გაახსენვინა, წიგნები გადასინჯა—გარდა საღვთო წერილისა მრავალი იყო სასიბრძნისმეტყველო და საისტორიო წიგნი. მეფემ ხელში აიღო საზი დღის წინად გელათიდან მიღებული იოანე პეტრიწის თარგმნილი ფილოსოფოს პროკლე დიადოხოსის «კავშირის ღვთის მტყვევლებით» და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა. გაიტაცა ბერძენთა ნეოპლატონურმა სიბრძნემ, რომელიც მშვენიერის ენით იყო გადმოღებული ქართულად. მეფეს ხიბლავდა არა მარტო ავტორის აზრები, არამედ კიდევ უფრო მთარგმნელის საკუთარი დართვანი და განმარტებანი.

დავით აღმაშენებელი ისე გაიტაცა წიგნის კითხვამ, რომ სრულებით დაავიწყდა, თუ სად იყო ან რისთვის მოვიდა ამ ადგილას. მისი ფიქრი და გონება მთლად ფილოსოფიური აზრებით იყო შეპყრობილი.

გონს მოვიდა მხოლოდ მაშინ, როცა გარშემო ხმაურობა ატყდა და განსაცდელის ბუკმა დაჰკრა. მეფეს მოახსენეს: მტერი მოგვიახლოვდა და ზურგიდან შემოვლას გვიპირებსო. დავითმა დინჯად, სრულიად აუღელვებლად წიგნი გადასცა მხლებელს, შეაჯდა ცხენს, გადაავლო თვალი გარემოს და უბრძანა თავის ჯარს, მომყევითო...

ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის შემდეგ თურქები კვლავ დამარცხდნენ, «მიდრკეს სივლტოლად» და გაიქცნენ.

ისანის სასახლეში დიდი ზეიმი, დარბაზობაა. შორეულ თუ ახლობელ ქვეყნებიდან მრავალი დესპანი და მოციქული იყო ჩამოსული თამარ მეფის სათაყვანოთ და პატივისცემლად. ქართველთა სახელი შორს, შორს იყო გავარდნილი და ყველა ცდილობდა მათი მეფის გულის მოგებას, დამოყვრებას. «გარემოს მეფენი, ქალაქნი და ამირანი ძღვენსა და ხარკს წარმოგზავნიდნენ».

სტუმრებს წინ ეგებებოდნენ ოვსნი და ყივჩაყნი და შემდგომად ჰერნი და კახნი, შემდგომად ქართუელნი და მესხნი და თორელნი შავშ-ტაოელნი, მერმე სომხითარნი, კვლავ აფხაზნი და სვან-მეგრულ-გურულნი, რაჭა-მარგუელნი და ბლოს ხელისუფალნი და შინაურნი: მწიგნობართ უხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, ამირახური და სხვა ვაზირები, მოშიარენი, რიტორები, ფილოსოფოსები. ოქროქუდილსა ტახტსა ზედა ისდნენ თამარი, დავითი და ძე მათი. სამკაულთა ძვირფასი თვლები მზის სხივზე სხვადასხვა ფერად თამაშობდნენ, მაგრამ უბრწყინვალესი იყო თვით მეფე, რომლის სახე თავის სიმშვენიერით ცის მნათობს ეცილებოდა.

წარმოსდგებოდნენ მოციქულნი სულთნების, ამირების, ათაბაგების, ხალიფასი, ტრაპიზონის მეფის, შირვანშასი, თაყვანსა სცემდნენ თამარს, აღდგურძელებდნენ და მიუძღვნიდნენ ძვირფას საჩუქრებს სამკაულებს, იარაღებს, ნაჭედებს, ქანდაკებს, ქსოვილებს, ნაქარგებს, ნახატებს, სხვადასხვა იშვიათ ცხოველებს და ნადირებს. მოქონდათ, თუ კი სადმე რამე იყო შესანიშნავი ხელოვნების განძეული, გაკეთებული ხატაეთსა, ინდოეთსა, ხორასანსა, სპარსეთსა, არაბეთსა, საბერძნეთსა თუ სხვაგან.

დაუთვალავი იყო რიცხვი მოძღვნილთა განძთა, ადგილი აღარ იყო მათ დასატევად და არავის შეეძლო ფასის დადება.

მეფე თამარი ღვთისნიერი ღმირით მადლობას შესწირავდა ძღვენი გამომგზავნელთ. ხოლო ოდნავად არ აკვირვებდა და არ ხიბლავდა მას ეს მოტანილი სიმდიდრე—საქართველო აღვსილი იყო ყველაფრით და აღარაფერი აკლდა. მაგრამ თამარს სიამოვნებისაგან ნაზად აუტოკდა გული, როცა სხვა სიძვირფასეთა შორის წარმოუდგინეს ხალიფას დესპანმა არაბული «წიგნი სააქიმო», ტრაპიზონის მეფის ალექსი კომნიანისის კაცმა—«ილიადა» და შირვანშასაგან განძელი მოშიარის ნიზამის «ლეილ-მეჯნუნიანი».

სიხარულით აღსავსე თამარმა მაშინ თვალი გადაავლო ქართველ ფილოსოფოსთა და მოშიარეთა ხომლს და ცთილობდა გამოეცნო, თუ ვინ უკეთ გამოიღებდა ამ წიგნებს ქართულ ენაზე.

ბევრი ჭირისა და უბედურების მნახველი დავით გურამიშვილი, უკვე მოხუცებული უკრაინის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა. წყნარი, თბილი საღამო იყო და სარკმელს მიჯდომოდა, თეთრად აყვავილებულს ალუბლის ბაღს გადასცქეროდა. ტკბილი ამინდითა და სურნელებით სიამოვნებდა, მაგრამ ამ სიამოვნებას თანდათან ჩაექსოვა მწარე

ნალექი: მოაგონდა თავისი შორეული ქვეყანა, მისი არეულდარეული ვითარება, ხან სპარსეთის და ხან ოსმალეთის შემოსევა, ლეკთა რბევა. გაახსენდა საკუთარი ბედი—სიღარიბე და გაჭირვება, სხვის კარზე ცხოვრება სამოწყალოთ, ყანაში მუშაობა, ლეკების ხელში ტყვედ ჩავარდნა, გამოქცევა რუსეთში, რუსების ვერავობა და ალაღი, სხვისთვის ომობა, ტყვეობა პრუსიაში და მაგდებურგის ციხეში ყოფნა..

გული აუჩუყდა და უნებლიეთ ცრემლები გამოცვინდა თვალებიდან. მერე—თითქოს წერილს სწერს თავის საყვარელ სამშობლოს—ასე ჩასწერა თავის რვეულში:

სახით სიტყვაშვნიერო, სხიო მზეთამზის სახეო, ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერსადა ვნახეო. გეაჯები, ნუ გამწირავ; მოკვდე—შენ კერძ დამმარხეო. ჯოჯოხეთში ნუ ჩამადებ, მიწყალობე სამოთხეო!..

დასწერა და გულს მოეშვა, თითქოს ილოცავ ვით ღრმა მორწმუნემ. მისი ღვთაება მისი მშობელი ქვეყანა იყო და ლექსით ეზიარა სამშობლოს არსებას. აღარ იყო მოწყვეტილი, ეული, უთვისტომო, მარტო. არასოდეს უგრძენია თავისი თავი ასე თავის ერის შვილად, მის განუკვეთელ ნაწილად... და დამშვიდდა, მიისვენა.

ბერად აღკვეთილი საათნავა მონასტრიდან ხედავდა ქვევით ბაღებში ღვინს—ქეიფი იყო, მხიარულობა. ცეკვა და სიმღერა ლალი, წარმტაცი, ხალისიანი. საზანდარი უკრავდა და საათნავა მთლად სმენად გადაიქცა და გაახსენდა ძველი დრო, როცა კარის მგოსანი იყო და თავის ჩონგურითა და ლექსებით ართობდა მეფეს, დიდებულებს, მოქალაქეებს, ლარიბებს.

რა კარგი იყო მაშინდელი ცხოვრება! ხმელ პურსაკი ზეთი გამოსდიოდა, ღვინო დარდს აქარვებდა და ნადიმი დაუსრულებელი სიტკბოებით ადგებდა სულსა და გულს! ყველას ახარებდა, ყველგან შვება და სიამე შეჰქონდა და თვითონაც ბედნიერი იყო, მუდამ მთვრალი სიყვარულით და სიცოცხლით!..

დაღონდა. შეეზარა აწინდელი ბერობა. ერთბაშად წელში გაიმართა, თითქოს გაყმაწვილდაო. გადმოხტა მონასტრის დარბაზულ კარებზე, ქვე დაეშვა და შეუერთდა მოღვინეთ. ხელში აიღო ჩონგური და დაუძღვრებულის, მაგრამ მეტად მგრძნობიარე და ნალვლიანი ხმით დაამღერა:

- ბრინჯი ვაყავ, ქერობა რად მინდოდა?
- ქორი ვიყავ, ძვრობა რად მინდოდა?
- ერი ვაყავ, მღვდლობა რად მინდოდა?
- მოდი მითხარ—ბერობა რად მინდოდა!..

საღამოს მონასტერში დაბრუნებული საათნავა მუხლმოდრეკით პატიებას სთხოვდა ღმერთს და თან გულში თავის თავს ეკითხებოდა: «დამნაშავე ვარ კი? რა შევცოდე?.. სიმღერა ლექსი ხომ გასაღებია ადამიანის გულის, გასაღებია, რომ გზა გაუხსნას ღვთის სიტყვას და ბრძანებას?»

ს. ფინცხალავა.





საქართველოს ელჩის აპ. ჩხენკელის ნოტა,

რემეტიც გადასცა ყენგვაში გვრდობის კავშირის შესახავად კომისიის თავმ. ბრიანს V-20.

ბატონო პრეზიდენტო!

წლების განმავლობაში ს. ს. რ. კ. ხან თავისი მთავრობის, ხან კიდევ კომინტერნის პირით, ირწმუნება თითქმის ეგრეთ წოდებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს განზრახვა ჰქონდეთ მოახდინონ მის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენცია. კომინტერნის აღმასკომის მეთორმეტე პლენარული სხდომა იმასაც კი აცხადებდა, «რომ სამხედრო ოპერაციების დასაწყისი დანიშნულია 1930 წლისათვის, ან არა უგვიანეს 1931-ის». ხოლო ბ. ლიტვინოვმა, ს. ს. რ. კ.-ს საგარეო საქმეთა კომისარმა, ესეცაა ვაკვრით მოიხსენია «ევროპის კავშირის შესახავად კომისიის» წინაშე «სამხედრო ბლოკი» და თვით სამხედრო თავდასხმაც კი.

ზედმეტი იქნებოდა ჩამოგვეთვალა აქ ყველა ის მოტივები, რომლითაც ხელმძღვანელობს მოსკოვი, როცა დაქინებით მიუთითებს ამ ვითომდა ინტერვენციანზე. მაგრამ არის ერთი მოსაზრება, რომელზედაც მე უნდა მივაპყრა თქვენი აღმატებულების ყურადღება. მოსკოვის მთავრობა ცდილობს დაუშალოს ს. ს. რ. კ.-ის ჩაგრულ ერებს ნამდვილი ინტერვენცია უცხო ძალებისა. მე, რა თქმა უნდა, ვლაპარაკობ იმ მატერიალურ, ტექნიკურ, ინტელექტუალურ დახმარებაზე, რომელსაც ევროპის ქვეყნები და ამერიკა სისტემატურათ უწყვენ მას. მართლაც, როგორ უნდა დაუშალოს კომინტერნის და მთავრობის მპყრობელმა, ბ-ნმა სტალინმა, თავის ქვეშევრდომებს კაპიტალისტების ეს დახმარება თუ არ ყვირილით იმის შესახებ, რომ ეგვევ კაპიტალისტები ს. ს. რ. კ.-ის წინააღმდეგ შეიარაღებულ ჩარევას აშუადებენ?

ჩემს მოვალეობათ მიმაჩნია დავადასტურო საზოგადოებრივ აზრის წინაშე, რომ ს. ს. რ. კ.-ის ხალხების საშინელი ტანჯვის მიზეზი, ნაწილობრივით არის ის, რომ მის მთავრობას სიამოვნებით ეხმარებიან უცხოეთში. საუბედუროთ ყველა ასე ფიქრობს, რომ რუსის ხალხს პასიურია და არ შეუძლია საბჭოთა უღლის გადავადება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპის და ამერიკის სახელმწიფოები არ უადვილებენ მას განმათავისუფლებელ მუშაობას, როცა უგზავნიან მოსკოვის მთავრობას მანქანებს და იარაღებს, ტექნიკოსებს და სპეციალისტებს, და სესხსაც კი აძლევენ.

რაც შეეხება კავკასიის, უკრაინის, თურქესტანის ერებს, რომელთა მუდმივი და მედგარი ბრძოლა უცხოთა უღლისაგან განსათავისუფლებლად ყველამ უწყის, მათვის კიდევ უფრო შეუწყნარებელია უცხოეთის დახმარება მათი მხარეების საოკუპაცია ხელისუფლებისათვის. მხოლოდ ერთი მაგალითის აღსანიშნავად მე მოვიხსენიებ ბაქოსა და გროზნის სანავთო წარმოებას და საქართველოს მარგანეცს, რომელთა ექსპლოატაცია ხდება უცხოეთიდან მოტანილ საუკეთესო ხელსაწყოთი და რომელთა მოგე-

ბა ნაანგარიშეგია ხუთწლედის გეგმის პირველ რიგში. არავის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ეს მრეწველობანი თავის თავად შესამჩნევად უწყობენ ხელს არა თუ ოკუპაციის გაძლიერებას კავკასიაში, არამედ თვით საბჭოთა რეჟიმის გამაგრებას მთელი ს. ს. რ. კავშირის სივრცეზე.

განა ნამდვილი საშინელება არაა ამ წამებულ ერებისთვის, რომ ევროპის კავშირის შესახავად კომისიაში წარმოდგენილი იქნება ის მთავრობა, რომელიც არის მიზეზი ყოველი მათი უბედურობისა? მით უფრო, რომ ეს ერები ჯერ კიდევ გუშინ იყვნენ თავისუფალნი, დამოუკიდებელნი, ცნობილნი სახელმწიფოების მიერ; საქართველომ თვით მოსკოვის მთავრობასთანაც კი დასდვა ხელშეკრულება 1920 წლის 7 მაისს, ხელშეკრულება ფორმალური, სადაც მოსკოვი აცხადებდა, რომ ის აღიარებს სრულიად ურუნევროთ საქართველოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და უარს ამბობს ყოველ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს მიმართ. მაგრამ ვინ შეუკრა კავკასიის ერებს ყენგვისკენ მიმავალი გზა?

დღეს განათლებული ქვეყნები იწყებენ იმის გაგებას, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ხუთწლიანი გეგმა, რომლის დანიშნულება არსებითად ისაა, რომ საბჭოთა კავშირისაგან შექმნან დიდი მილიტარული სახელმწიფო. და განა გასაკვირი არაა, რომ ესვე ქვეყნები არაპირდაპირ ხელს უწყობენ ამ მიზნის განხორციელებას, რომელიც ემუქრება ქვეყნიერების მშვიდობიანობას და კეთილდღეობას?

ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციო იმ სამწუხარო მდგომარეობას, რომელიც შექმნილია ს. ს. რ. კ.-ის რუსისა და აზარუსის ერებისათვის იმით, რომ გარედან დახმარებას უჩვენენ მათ დამჩაგვრელებს. შეიძლება დიდი ვაბედვა ჩემის მხრით, რომ მსოფლიო სინდისის წინაშე წარმოვადგინო მწვავე საკითხი 160 მილიონი სულის მონებად გადაქცევისა? განა ამდენ მილიონ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ევროპის კავშირის შესახავად კომისია აღძრავს კითხვას ცხოვრების და შრომის პირობების გამოსაკვლევად ს. ს. რ. კავშირში?

იმ დროს, როცა მოსკოვის წარმომადგენელი კომისიაში ტრახახობს ს. ს. რ. კ.-ის რესპუბლიკების ბედნიერებას და წარმატებას, კავკასიაში ხალხის მღელვარება მეტად ინტენსიურია: პარტიზანული გამოსვლებია, შეტაკებები საბჭოთა ჯარებთან, ვაუგონარი რეპრესიები.

ჩემი ფრიად ბეჯითი მოვალეობაა ერთხელ კიდევ აღვამაღლო ხმა ქართველი ერის სახელით, მხურვალე პროტესტი გამოვაცხადო მისი უდავო უფლებების გათელვისათვის და გადაქრით უარყოფილება მოსკოვის მთავრობისა, რომელიც ვერაულოდ მოეპყრა საქართველოს, — ილაპარაკოს ამ უკანასკნელის სახელით.



ბოლშევიკების საზოგადოებრივი გამოვლენები

9 მაის პარიზის ორ რუსულ გაზეთის ფურცლებზე, «ვოზროჟდენიე» და «პასლედნია ნოვ.»-ში დაიბეჭდა ბოლშევიკების დეპეშათა სააგენტოს—ტასის ცნობა, ვითომ ტფილისის გაზეთს «ზარია ვოსტოკას» გამოეყვანებინათ «დოკუმენტები», რომლებიც ამტკიცებდნენ ნ. ჟორდანის თანამშრომლობას ამ 30 წლის წინეთ მეფის «ოხრანასთან». «ვოზროჟდენიემ» ამას იქვე უწოდა ბოლშევიკური ცილისწამება. ხოლო მილიტარების გაზეთმა ეს ცნობა მიაგლო ბოლშევიკების «სვინდისზე». ნოე ჟორდანიამ მეორე დღესვე «პოსლედნია ნოვოსტში» გამოაქვეყნა საპროტესტო წერილი.

საყოფადღებოა ის, რომ ტასის ეს ჟორები არ დაბეჭდა არც ერთმა სხვა გაზეთმა, არც თვით კომუნისტების ოფიციალურმა ორგანომ. როგორც აქ საფრანგეთში, ისე გერმანიაში და სხვაგან მთელ ევროპაში, ეს ერთი ფაქტი ნათლად მოწმობს ბოლშევიკების ამ უღირსი გამოლაშქრების მთელ სიყალბეს, რაიცა არ დაიჯერა არც ერთმა მათ ორგანომ. მაგრამ ყველა, ვინც კი გაიგო და წაიკითხა რუსულ ენაზე, სამართლიანად აღშფოთდა და ნ. ჟორდანის საზოგადოებრივ მიღებული რეზოლუციებით, თუ კერძო წერილებით თავისი თანამგობრება გამოუცხადა. ამ ხნის განმავლობაში უკვე მოვიდა თფილისის და მოსკოვის ბოლშევიკური გაზეთები, სადაც ვინმე ხაუბურბის ხელმოწერით არის გამოქვეყნებული ზემო მოხსენებული ინსინუაცია. აქ კი ყველასათვის აშკარა გახდა ბოლშევიკების მთელი შანტაჟი. ტასის მიერ გადმოცემული ბრალდებები აღმოჩნდა წმინდად ბოლშევიკების მიერ შეთხზული და სრულად არ გამომდინარეობს მათ მიერ გაზეთებში გამოქვეყნებულ ვითომდა «დოკუმენტებისაგან». რა არის მართალი და არა ამ «დოკუმენტებში», ძნელია ამის ცოდნა. ნოე ჟორდანიამ ცხრა მასივ დეპეშით წინადადება მისცა «ზარია ვოსტოკას», ეს საქმე გადაცემოდა განსახილველად განსაკუთრებულ კომისიას სოციალისტურ ინტერნაციონალის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ეს დეპეშა დარჩა უპასუხოდ. მათ არ მონდომეს ამ საკითხის მიუდგომლათ გარჩევა. ამით მათ თავისი ბრალდების სიყალბე ნათლად ყვეს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ეს «დოკუმენტები» ყველა მართალია. აქედან გამომდის მხოლოდ ერთი, ის რომ ნ. ჟორდანი იბრძოდა თავის გასანთავისუფლებლათ და საქმის დასაჩქარებლათ.

ბოლშევიკების მიზანი აშკარაა: მათ სურთ ჩიტიის მოცნება ნ. ჟორდანისათვის განსაკუთრებით ევროპის თვალში და მით აქ ჩვენი საქმის დამცირება. ფიქრობდნენ, რომ მათ «დოკუმენტებს» არ წაიკითხავდნენ და ისე ზეპირათ ტასის სააგენტოს დაუჯერებდნენ. ისინი, რასაკვირველია, როგორც ზემოთ ვსთქვით, ანგარიშში მოსტყუდნენ. ხსენებულ «დოკუმენტების» გაცნობამ კიდევ უფრო ააღელვა ყველა და ბოლშევიკების გამოლაშქრებას სათანადო პასუხიც გასცეს.

აქვე მოვიყვანთ ჩვენ მიერ მიღებულ ზოგ რეზოლუციებს, თუ კერძო წერილებს.

მთავრობის თავმჯდომარის  
ნ. ჟორდანისა წერილი \*)

«მოწყალეო ხელმწიფე, ბ. რედაქტორო! თქვენი ორგანოს ამა წლის 9 მაისის ნომერში დაბეჭდილია აღმაშფოთებელი ცილისწამება ჩემ შესახებ, რომელიც შეთხზულია ტფილისის ჩემი წიადში და გადმოცემული ყოველი სიცრუის და სიყალბის ცნობილი გამავრცელებელის—ს. კ. დ. სააგენტოს მიერ. მართალია, «არავითარ პასუხისმგებლობას ცნობისათვის» თქვენ თქვენს თავზე არ ღებულობთ, მაგრამ მაინც თვითონ დაბეჭდვა ცნობისა ასეთი სათაურით «ს. კ. დ. სააგენტო ამხილებს ნოე ჟორდანისა»—ობიექტიუურად ხელს უწყობს აშკარა ცრუ ცნობების გავრცელებას, რომლებიც ჩირქს სცხებენ ჩემს სახელს.

პარიზის ქართველთა კოლონიაში ადვილად შეუძლია ყველას გაიგოს, თუ როგორი მეთოდებით ებრძვის ქართული გპუ ჩვენს პოლიტიკურ ემიგრაციას და მის მეთაურებს, რამიშვილის მოკვლის შემდეგ ჩვენთვის ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ რიგი სხვა ხელმძღვანელებზე მიდგა...

მე პირადად არა ერთხელ გამაფრთხილეს საქართველოდან. ბოლშევიკების ინსინუაციის აზრი ნათელია. ერთი ორში: მათ გადასწყვიტეს ბოლო მომიღონ «მორალური» საშრალეებებით და მით შეამზადონ ნიადაგი ისეთი ფიზიკური მოსპობისთვის, როგორც ეს ჩაიდინეს რამიშვილის და სხვა ასეული ჩემი ახლობელი მეგობრისა და თანამებრძოლის შესახებ საქართველოში.

ჩვენი, ქართველი სოც. დემ. ემიგრაციის გარეშე მო ბოლშევიკები აწარმოებენ რთულს ავანაჟურს თამაშს მისი სახელის გატეხისა და დაშლისათვის. მე არ მინდაოდ, რომ რუსულმა პოლიტიკურმა ორგანოებმა რაიმე, თუნდაც უნებლიეთი, დახმარება გაუწიონ ამ საქმეში ჩვენს საერთო მტრებს.

არსებითად პასუხის გაცემა ბოლშევიკებისთვის მე მიმაჩნია ჩემი ღირსების დამცირებლად. ხალხს, რომელიც დუჟინობით ამხადებს წარბეუხრელად ცოცხალ მოწმეებს, მით უფრო ადვილად შეუძლია ყალბი დოკუმენტების მომზადება. მაგრამ მათდასაუბედუროთ მათ არ ეკუთვნის ბატონობა იმ ფაქტების, რომლებიც მათ მოხვლამდე მოხდა. ეს ფაქტები კი ყველანი ლაპარაკობენ მათ წინამდევ, მათი სიცრუისა და ცილისწამების წინამდევ.

ნ. ნ. ჟორდანია.

1931 წ. მაისის 9.

\*) ეს წერილი დაიბეჭდა «პოსლედნია ნოვოსტ»-ს მე-3701 ნომერში.



საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების კრება

საქართველოს პოლიტ. პარტიათა წარმომადგენლები—სოც. დემოკრატები, ნაც. დემოკრატები, სოც. ფედერალისტები და სოც. რევოლუციონერები—გაერთიანებულნი ანტიბოლშევიკურ ფრონტში, გაეცნენ რა გაზ. «ბოს. ნოვ.»-ს № 3700-ში მოთავსებულ ბოლშევიკურ სააგენტოს—ტასის—მიერ გადმოცემულ სახიზლარ ცილისწამებას აღმფოთებით აღნიშნავენ, რომ ეს მორიგი ქორი და ცილისწამება ბოლშევიკების მიერ გამოგონილია იმ განზრახვით, რომ სახელი გაუტეხონ ქართულ ეროვნულ მოძრაობას და მის მეთაურს ბ. ნ. ჟორდანიას. მაგრამ მტერი მოსტყუება ანგარიშში. ამ სახიზლარ საქციელს ოდნავადაც არ შეუძლია შეამციროს და შეასუსტოს ის დიდი ავტორიტეტი, რომელიც საქართველოს ეროვნულ მოძრაობას და მის მეთაურს მიანიჭა ისტორიამ. ხოლო ბოლშევიკების ინსინუაცია კი შვევა ისტორიაში, როგორც ერთი დამახასიათებელი ფურცელთაგანი ჯალათების მუხანათურ ხერხისა. დაბოლოს პარტიათა წარმომადგენლობა უღრმეს პროტესტს აცხადებს «ბოს. ნოვ.»-ს მიერ აღნიშნულ ცილისწამებას იმ სახით დაბეჭდვისათვის. რომელსაც ადგილი ჰქონდა მოხსენებულ გაზ-ის მე-3700 ნ-ში.

პარტიათა წარმომადგენლობა უცხოეთში უცხადებს ბ. ნ. ჟორდანიას ღრმა თანაგრძნობას იმ სახიზლარ ქორის გამო, რომელიც მის წინააღმდეგ შეთხნეს ჩვენი ქვეყნის დამპყრობელებმა.

საქართველოს სოც. დემ. პარტიის საზ.-გარეთელი ბიუროს რეზოლუცია.

საქართველოს სოც. დემ. პარ. საზღვარგარეთელი ბიურო უღრმეს აღმფოთებას გამოსთქვამს იმ სახიზლარ ცილისწამების გამო, რომელიც ბოლშევიკებ-

მა მათი დეპეშათა სააგენტოს—ტასის საშუალებით ქართველი ერის და საქართველოს სოც. დემოკრატის ბელადის, ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ გადმოიხროლეს.

მოალატე ქართველი კომუნისტები დარწმუნდნენ რა იმაში, რომ საქართველოს სოც. დემ. პარტიის ნებისყოფა ბრძოლისადმი მოუღოველი შეიქმნა. ცთილობენ ესლა ამ პარტიის და მისი ღირსეული მეთაურის მორალურათ გაშავებას. მაგრამ გათანხობებულნი მათი ცილისწამებით თავიანთ მიზანს ვერასოდეს ვერ მიაღწევენ. მათ მიერ ნასროლი ტალახი მათ უკანვე დაუბრუნდება და მათი შანტაჟი, გარდა უდიდესი ზიზღის გამოწვევისა, ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს ვერც უცხოეთში და ვერც საქართველოში. სოც. დემ. პარტიის და მისი სახელოვანი ბელადისადმი სიყვარული და პატივისცემა მეტათ ღრმათ არის ჩანერგილი ქართველი ხალხის გულში, რომ ის იქიდვან ჩვენმა მტრებმა ასე ადვილათ ამოგლიჯონ.

მტრებმა კარგათ უნდა დაიმახსოვროს, რომ ჩვენი ქვეყნის განსათავისუფლებლათ მის წინააღმდეგ წარმოებულ სასტიკ ბრძოლაში საქართველოს სოც. დემოკრატულ პარტიის ხელმძღვანელი მუდამ დაუღალავი მებრძოლი ნოვ ჟორდანია იქნება.

გარდა ამისა ბ. ნ. ჟორდანიამ თანამგრძნობის წერილები მიიღო ა. კერენსკისაგან («დნის» სარედ. კოლეგია). საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების გამგებებისაგან, პარიზის, ბერლინის და პრაგის ს. დ. ორგანიზაციებისაგან და სს.

აგრეთვე რუს. ს. დემ. პარტიის ბერლინის მორიგ ბიულეტენში ვერმანულ ენაზე დაიბეჭდა დანის წერილი, რომელიც მსურველე პროტესტს აცხადებს ბოლშევიკების საქციელის წინააღმდეგ.

გ რ ს კ ო ვ ი ვ ი ნ ე თ ი ღ ა მ ს ლ ა

VI.

პეტრე დიდის ეპოქა ყველაზე დიდ მოვლენას წარმოადგენს რუსეთის ისტორიაში. მან რუსეთი გავრეობილების გზაზე შეაყენა და მოსკოვის სამეფო დიდ იმპერიათ აქცია. ორივე ეს ამოცანა რუსეთის ეროვნულ ძალების შესაძლებლობას აღემატებოდა. ამიტომ არც ერთი და არც მეორე მკვიდრ ნიადაგზე არ აღმოჩნდა. გავერობილება რუსის ერმა დღემდის ვერ შესძლო, იგი მხოლოდ მის ზედაფენებს შეესხა, ხოლო ერის 90 პროც. თუ მეტი არა, მის გარეშე დარჩა. იმპერიას კი, თავიდანვე დიდი ნაპრალები დაყვა, რომლებიც ყოველი გართულების დროს მის კრიზისს იწვევდენ. ამ ეპოქათ იმპერიის კრიზისმა იმ წერტილამდის მიაღწია, რომ მომავალ სასებობაში თვით მის მოტრფივლეთ ეპარებათ ექვი.

რათ მოხდა ასე? იმიტომ, რომ პეტრე დიდმა და მისმა მემკვიდრეებმა რუსეთის იმპერიის შენება დაიწყეს სახურავიდან, ზევიდან ქვევით, ისე როგორც მოსკოვის სამეფო აშენდა. ამ სახით არაფერი არ შეცვლილა და პე-

ტრე დიდის იმპერიის მოსკოვურ სახელმწიფოსთან ორგანული კავშირი შერჩა. ერის დიდი უმეტესობა არც პირველში და არც მეორეში, შეგნებულ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა. იგი კი არ ქმნიდა და აკეთებდა მოსკოვურ სამეფოსა და იმპერიას, არამედ მას აკეთებინებდენ და ისიც უმეტეს შემთხვევაში უცხო ელემენტები—თათრები და გერმანელები.

პეტრე დიდმა ევროპული სახელმწიფოებრივი ზოგიერთი იდეა უშეცვლათ შეითვისა, გაიგო და მათი ფანატისკოსიც კი გახდა, მაგრამ საფლავში ისე ჩავიდა, რომ ევროპულ მეთოდზე, რომლითაც ევროპაში ეს იდეები ხორციელდებოდენ, მას წარმოდგენაც არ ქონია. ამ მხრით იგი დარჩა ივანე მრისხანეს მოწაფეთ და ზოგში კიდევ გაუსწრო მას. მაგ. მან უფრო გარკვეულათ ჩამოასხნა თვითმპყრობელის უფლება, ამაში არც ღმერთი გაიზიარა, არც ერი და არც ბერი და სამხედრო წესდებაში აღნიშნა: «მისი უდიდებულესობა არის თვითმპყრობელი შონარქი, რომელიც ქვეყანაზე არავის პასუხს არ აძლევს თავის მოქმედებაში». ივანე მრისხანე ღვთის მოსავი



კაცი იყო, მეფობას ღმერთისაგან ბოძებულ საქმეთ სთვლიდა და მის წინაშე პასუხის მეგობრობის შიში ხანდისხან მაინც აჩერებდა ბოროტების ჩადენის წინაშე. პეტრე დიდი უფრო ათეისტი იყო, ვინემ მორწმუნე, დესპოტიზმს მის ხელში, არც სარწმუნოებრივი და არც საზოგადოებრივი პრინციპი არ ბოროკავდა და ამიტომ მას ფართო გასაქანი მიეცა.

მისი შეხედულება რუსის ხალხზე სადა იყო, მისი აზრით: «თუმცა კეთილი საქირაა, მაგრამ ახალი საქმეა და ჩვენი ხალხი ძალდაუტანებლათ არ იზამს». და აი მანაც გაუმოცა მოძრაობაში პოლიციური სახელმწიფოს ძალმომრეობა თავისი ხალხის წინააღმდეგ. პეტრე მოქმედებდა მთავრობის ძალდატანებით და არა ხალხის სურვილით და მისი რეფორმები იყო დესპოტიზმის ბრძოლა ხალხის პასივობისათვის. ყველაფრისთვის: ხელმწიფისთვის არა შესაფერის დაწესებულების საშვალეებით თხოვნის მიცემისათვის, აზნაურის სამხედრო შემოწმებაზე გამოუცხადებლობისათვის, დაწესებული ზომის მუხისა და საივალქო ნაძვის მოჭრისთვის, რუსული ტანისამოსის ვაჭრობისათვის, სწერის კლიუზიგესკი, სჯიდენ მთელი ქონების კონფისკაციით, ყველა უფლებების ახლით, მათრახით, კატორღით, ჩამობრახობით, პოლიტიკური და ფიზიკური სიკვდილით. (კლიუზიგესკი «რუსისტ. ტ. 4. გვ. 276),

პეტრე დიდი აწესრიგებდა არა მარტო სახელმწიფო ცხოვრებას, არამედ საზოგადო და კერძოსაც. ამ უკანასკნელთაც უნდა ემოქმედათ, ეცხოვრათ ისე როგორც ამას პეტრე და მისი მოხელეები უბრძანებდნენ. სხენაირათ ცხოვრება და მოქმედება, როგორც ეს ბოლომდე ვეცხვების ხანაშიც არის მიღებული, დანაშაულათ ითვლებოდა. ტინისამოს უნდა ჩაეცვათ ისეთი, როგორც მეფემ ბრძანა, წვერი უნდა გაეპარსათ ისე, როგორც პეტრეს მოსწონდა, საზოგადო ადგილებზე უნდა გამოცხადებლიყვნენ ცოლშვილით და ახლად შემოღებულ ტანისამოსით, ვინაიდან პეტრე ამაში—ერის გავერობიელებას ხედავდა. გლეხს პური უნდა მოეჭრა იმ ცელით, რომელიც მეფის ბრძანებაში იყო აღნიშნული. მუხის კუბოში უნდა ჩაესვენებიათ მხოლოდ ის პირი, რომელსაც მთავრობა ნახულობდა შესაფერისათ. სამღვდლოებებს უნდა ეწერა ისე, როგორც ეს იმპერატორს მიაჩნდა მიზანშეწონილათ და უნდა ეფიქრათ ისე, როგორც პეტრე ფიქრობდა. და ვინც ცხოვრების ამ ბიუროკრატიულ რეგლამენტს დაარღვევდა, მას სასტიკი სასჯელი მოელოდა.

ტახტის ერთად ერთი მემკვიდრე ვაჟი ალექსი სიკვდილით დასაჯა იმისთვის, რომ იგი მამის შეხედულებას არ იზიარებდა და მისი რეფორმების დანატიკოსი არ იყო. პირველი ცოლი მონასტერში დაამწყვდია, იმიტომ, რომ იგი შვილის მხარეზე იყო. სატახტო ქალაქი მოსკოვიდან პეტერბურგს გადაიტანა, ქაოტების დასაშრობათ ათასობით იქ უკრაინელი გლეხები ჩარეკა, ფარანების სისტემით აამუშავა და მათ ძვლებზე სასახლეები ააგო, თავდაზნაურობა და ვაჭრები სხვა ქალაქებიდან ძალით ჩაასახლა და ხელოვნურათ ქალაქი გააშენა. (პროფ. სოლოვიოვი).

ყველა ეს დიდ გაუგებრობას და უკმაყოფილებას იწვევდა ხალხში, ზოგი მას ანტი-ქრისტეს უწოდებდა, რომელიც ღმერთმა მათ დასასჯელათ გამოგზავნა. ზოგი კი ვერმანელების მიერ განძრახ გამოცვლილ მეფეთ თვლიდა. გლეხები სჩივოდნენ: «მას შემდეგ რა რომ ღმერთმა პეტრე მეფეთ მოგვივლითა, ჩვენ ერთი ნათელი დღე არ გვიანხავს; მიაქვთ მანეთები, მიაქვთ ურმები და ჩვენმა ძმამ გლეხმა მოსვენება არ იცისო».

მაგრამ მაინც ითმენდნენ. არ ითმენდნენ მხოლოდ განაპირა კუთხეები და თავის გულიწარმოს აშკარათ ხატავდნენ. 1705 წელს მოხდა ჯანყი ასტრახანში, მას გამოეხმაურა ბაშკირეთი, რომლის აჯანყების ჩაქრობა მხოლოდ 1709 წელს შესძლეს; 1707 წელს აჯანყდა დონი ბულაგინის მეთაურობით, რომელიც პეტრემ მხოლოდ ერთი წლის ბრძოლის შემდეგ დაამარცხა და ისიც ყალმუხთა მეფის აიუკის 20 ათასიანი ჯარის დანებრებით. სასხლითა და რკინით მან შესძლო ხელისუფლების შენარჩუნება და იმპერიის მთლიანობის გადარჩენა.

ერთსა და იმავე დროს იგი იყო დიდი რეფორმატორი და დიდი ჯალათი. ფაქტია, რომ სტრელცის პოლკის აჯანყებულთ თვითონ სჭირდნაჯახით თავებს და ამასვე მოითხოდა მენშიკოვისაგან და დანარჩენ თანამშრომელთაგან (ნ. რაჟკოვი).

რა მიიღო შედეგათ რუსეთმა?

უკიდურესი ცენტრალიზმი, დესპოტიზმი, ბატონ-ყმობის კიდევ უფრო გამძაფრება, მცხოვრებთა ერთი მესუთედის დაკარგვა და მათი მეურნეობის განადგურება (პროფ. ა. კრასნოვი). ანუ მილიუკოვის ენით რომ ვსთქვათ, «ქვეყნის განადგურების ფასით რუსეთმა მიიღო ევროპული სახელმწიფოს ტიტულიო».

ეს იყო მხოლოდ ტიტული, ხოლო პეტრეს მიერ დასახულ ამოცანას, რუსეთმა სინამდვილეში ვერ მიაღწია, ვერც მაშინ და ვერც შემდეგ. «ერთათ მოქმედება დესპოტიზმისა და თავისუფლების, განათლებისა და მონობის, სწერის კლიუზიგესკი, აი ის პოლიტიკური მოკვლადებული წრე, რომლის ამოცანის ასხნა პეტრე დიდთან სწარმოებს, მაგრამ დღემდის აუხსნელი რჩებაო». და ეს იმიტომ, რომ რუსეთმა ევროპისაგან მხოლოდ გარეგნობა გადმოიღო და მთავარი კი დაივიწყა. ფრანგი ისტორიკოსი ლევეკი 1790 წ. პეტრე დიდის შესახებ სწერდა: «არ შეიძლება მას უწოდოთ გენოსი, ვინაიდან უნდოდა რა მიცემა განათლების რუსეთისათვის, იცოდა მხოლოდ სხვა ერების მიბაძვა. მაგრამ ეს არ იყო საქმარისი რომ გამხდარიყვნენ რუსეთი ისეთი, როგორიც არიან ევროპის სხვა ერები, ამისთვის საჭირო იყო ისინი ჩაეყენებია მათთან თანასწორ პირობებში. ეს კი მოითხოვდა. მიეცა მათთვის თავისუფლება. პეტრემ ეს არ ქნა. მან რუსების მონობა კიდევ უფრო გააძლიერა. მონების ხელებით კი მას შეეძლო გაეკეთებია ხომალდები. მაგრამ ვერ შესძლო, მონებს ევროპის კულტურა შეეთვისებიათ და ევროპული კაპიტალისტების ნდობა დაემსახურებიათ» (პლენანოვის წიგნიდან «ისტ. ობშ. მის» ტ. 3. გვ. 29).

აი ამ თავისუფლებას რუსეთი, რომელზედაც



ლევეკი სწორს. რუსეთი დღემდე ვერ მოესწრო. ის დღესაც იმავე მონობის ტაფაში იწვის, როგორც წინეთ. თავისუფლების ვარსკვლავმა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში გააშუქა და მერე ისევ მიქრა. მთელ საბჭოთა კავშირში ძალმომრეობა პარპაშობს და ხალხის ცხოვრება წყვედიად არის მოცულა. მათ კი ეუბნებიან: ახალ, ჯერ უნახავ ცხოვრებას ვაშენებთო. კლიუჩევსკი ამბობს—პეტრე დიდის რეფორმამ ხალხზე ისე გაიქროლა

როგორც გრიგალმა, ყველა დააშინა და ყველასთვის ამოცანათ დარჩა იგიო. ბოლშევიკური «აღმაშენებლობაც» გრიგალივით დაჰქრის მსოფლიოს ერთ მეექვსედზე და მისგან აწიოკებულია მთელი ხალხი და აი ვინმე კომკავშირელი დალაქიშვილი გლუხებს ანუგეშებს და ეუბნება—ეს გიქი ზენა ქარია და გაივლისო. ჭეშმარიტად დაუფასებელი შედარებაა. ამ ორი ეპოქის შესადარებლათ უკეთეს მოხდენილ სიტყვას ვერ მონახავთ. კავი.

**ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ზ რ ე ბ ი თ**

(გდა ჩვენი ქვეყნის გრძელვად მკურნეობის მიმდინარეობისა)

მინერალური წყლები 172 ჯგუფათ არის აღმოჩენილი; მათი შემადგენლობა სულ ცოტა შვიდნაირია. ზოგი ვსლავა საქართველოთ გათქმული (ბორჯომის მინერ. წყლები—საქართველოს ვიში. აბასთუმანი). ამ ბოლო დროს დიდს იმედებს იძლევა საქართველოს «ნარზანი», სოფ. ყაზბეგის ახლო. ადგილობრივად დიდი სახელი გაითქვეს წყალტუბოს წყლებმა და ახტალის ტალახმა.

საქართველოს ერთ სიმდიდრეს და მასთან დიდ სიმდიდრესაც, ისიც შეადგენს, რომ იგი თავის დროზედ გადაიქცევა შესამჩნევ საკურორტო და სატურისტო კვანძათ; ის გარემოება, რომ საოცარ ბუნებრივ სილამაზესთან ერთად, საქართველო მდიდარია სამკურნალო მინერალურ წყლებით,—დიდს მერმისს უმზადებს ჩვენს სამშობლოს. გავიხსენოთ, რომ შვეიცარიის ასეთი მდგომარეობა დაუშრეტელ წყაროთ გადაიქცა მის კეთილდღეობისათვის და სახელმწიფოებრივ მოღონიერებისათვის.

ბორჯომის მნიშვნელობის შესაფასებლად საქმალა გავიხსენოთ, რომ ჯერ 1913 წელს გაყიდულ მინერალურ წყლის ღირებულობა უდრიდა 1.490.000 მანეთს და აქედან სახლგარ-გარეთ იყო გაზიდული 900.000 მანეთის (ოქროსი).

ბოლოს შევეხათ საქართველოს იმ სიმდიდრეს, რომელიც ამ ჟამად დიდ ყურადღებას იწვევს. ეს სიმდიდრე, ე. წ. «თეთრი ნახშირის» გამოყენება არის. ე. ი. ჩვენი მდინარეების ძალის დამოწინააღმდეგება და საუკეთესოდ გამოყენება.

ომის წინ გამოკვლეული იყო, რომ საქართველოს «თეთრი ნახშირი» შეიცავს შემდეგ ძალას:

- 1) სამი თვის განმავლობაში—6 მილ. ცხენის ძალას.
- 2) ცხრა თვის განმავლობაში 4 „ „ „
- 3) და სულ ცოტა 2 ნახ. „ „ „

მას შემდეგ კვლავაც გრძელდებოდა ჩვენი მდინარეების რეჟიმის შესწავლა; უკანასკნელმა კვლევამ დაგვანახვა, რომ მთელი წლის განმავლობაში სულ მცირეთ უნდა ვიანგარიშოთ 3 მილიონი ცხენის ძალა. თითო ცხენის ძალა უდრის, დაახლოებით, ათი ადამიანის მუშაობას. ამ რიგად, მიღებული მინიმუმი მდინარეთა ენერჯის ჩვენს ქვეყანას შესძენს 30 მილიონ «მუშის» ძალის ეკვივალენტს.

ამოდენა მუშა «ხელის» და ძალის პატრონს, ჩვენს სამშობლოს, არ უნდა აფიქრებდეს ის გარე-

მოება, რომ ამ ჟამად, ეკონომიურ ძალების განვითარების არსებულ პირობებში, მას ჯერ კიდევ არ ყავს საკმარისი მუშა ხელი, საკუთარი მრეწველობის ფართეთ დამყარებისათვის.

«თეთრი ნახშირის» სახით საქართველოს საქმალა ძალა ჰქონია, იგი გაიზომება 30 მილიონ მუშის ენერჯით; ამ სიმდიდრით ჩვენი ქვეყანა ადვილად შესძლებს როგორც სასფოლო მკურნეობის აყვავებას, ისე მძლავრ მრეწველობის დამყარებას.

ის სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ ცალმხრივ ავარჯიშებს თავის ეკონომიურ ძალებს—იგი ყოველთვის მოულოდნელ ხიფათების წინაშე სდგას. ის ქვეყანა ძლიერი და გამარჯვებული, რომელსაც უნარი შესწევს სასოფლო მკურნეობასთან ერთად საკუთარი მრეწველობაც განავითაროს. ამ მხრივ საქართველო სრულიად უზრუნველყოფილია; მხოლოდ გამოყენებაა საჭირო, ჭკუა და საქართველოს ერის და სახელმწიფოებრივის საარსებო ინტერესების დაცვა...

სწორედ «თეთრი ნახშირის» ძალოვანად დარღვევის წყალობით ხდება საქართველოში ელექტროფიკაციის ფართე პროგრამით განხორციელება.

ასევე ხდება უცხოეთშიც, სადაც კი ბუნებას ამისი შესაძლებლობა მიუცია.

ფილიპე მახარაძის და იე. ბ. ჭიჭინაძის მოხსენებები ასეთ სურათს გვიჩატავენ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისთვის.

«ჩვენი ელექტრო-სადგურების ძალაო, ამბობს მახარაძე, უდრის 20.850 ათას კილოვატს, ხოლო ხუთი წლის დაძლევისათვის მივიღებთ 86.944 ათას კილოვატს. ელექტროენერჯიის გამომუშავება 31,7 მილიონ კილოვატ-საათიდან ავა 431,3 მილიონ კილოვატ-საათამდე. მოხმარება კი 27,7 მილიონ კილოვატ-საათიდან—375.5 მილიონ კილოვატ-საათამდე. ელექტროფიკაციაზე სულ 76.051 ათასი მანეთი დაიხარჯება».

ამ ანგარიშით 1932-33 წელს საქართველოს თითო მცხოვრებზედ მოვა 144 კილოვატ-საათი (საქართველოს მოსახლეობა იმ დროსთვის სამი მილიონი ჩვეთვალეთ).

საინტერესოა შევადაროთ რამდენი კილოვატ-საათი მოდის უცხოეთის სახელმწიფოებში, თითო სულზევე.

პროფ. დეგოვს (ნახე მისი წიგნი: M. Degove.

«Utilisation des Forces Hydrauliques») ასეთი ცნობა მოყავს:

მოდირდა 1923 წელს თითო მცხოვრებზე კილოვატ-საათის რაოდენობა:

ქვეყნები:	
შვეიცარია	700 kwh.
კანადა	600 „
ნორვეგია	495 „
ჩრდ. ამერ. შვეიც. შტატ.	450 „
შვეიცია	365 „
ინგლისი	200 „
საფრანგეთი	175 „
იტალია	155 „
გერმანია	140 „
იაპონია	90 „

და როგორც დავინახეთ (1932-33 წ.)

საქართველო	145 „
------------	-------

ელექტრო-სადგურების რიცხვი, რომელნიც წყლის ენერჯის საშუალებით მოქმედებენ, თანდათან ყველგან მატულობს. ეს ხდება არამც თუ მარტო იქ, სადაც სათბობი მასალაა (ქვანახშირი, ნავთი) ნაკლებად აქვთ, არამედ იქაც, სადაც ეს მასალა მდიდრათა დაგროვილი. ესლა პირდაპირ დანაშაულობათ მიანჩნით ასეთი ძვირფასი საქონელი, როგორც ქვანახშირი და ნავთია, სათბობ საშუალებათა სწვან და აქრობდენ. ყველგან იმას ცდილობენ, ეს ნივთიერებანი საფსებით მოიხმარონ ქიმიურ და სხვა სათანადო ინდუსტრიაში, რის საშუალებითაც უძვირფასესი ახალი ღირებულებათა მიღება ხდება. წყლის ძალა, რომელიც თავისად არაფერი ღირს, ჰქმნის მოძრავ ძალას, ელექტროს სახით და ამ გზით ხდება რთული გაინდუსტრიალება ნავთისაც და ნახშირისაც. ექვს გარეშეა, რომ თეთრი ნახშირით მდიდარი საქართველოც ამ გზითვე დაიწყებს საკუთარ ქვისნახშირის და ნავთის გადამუშავებას.

ერთი დიდი დაბრკოლება ჰიდროლიკურ მოწყობილობის გავრცელებაში ის არის, რომ ერთობ დიდია თავდაპირველი სადამშენებლო ხარჯები. ამიტომ, რომ ყველგან სახელმწიფო ერევა თავისი აუარებელი რესურსებით ჰიდროლიკურ მოწყობილობათა აღმშენებლობაში.

ამის შესახებ ზემოდ მოხსენებულ წიგნში ასეთ ფაქტებს ვეცნობით.

სახელმწიფოთა მონაწილეობა ჰიდროლიკურ ნაგებების აშენებაში (სადგურების და გადამცემი საშუალებების):

იტალია	20 პროცენტი, ყველა ხარჯების.
შვეიცარია	40 „ „ „
გერმანია	50 „ „ „

სამაგიეროდ ძალიან სუსტია საფრანგეთის მონაწილეობა, სულ ოთხი პროცენტი. ამ უამად ამ სახელმწიფოშიც გადაწყვეტილია უფრო ფართეთ მიიღოს ხაზინამ მონაწილეობა, რომ კერძო კაპიტალი წააქეზონ და გააბედვიონ. ის დიდი ხარჯები გასწიოს, რაც ჰიდროლიკურ შენობას უნდება და რომლის დაძლევის კერძო კაპიტალი, სახელმწიფოს დაუხმარებლად, ვერც შესძლებდა.

წ ა მ მ ზ უ ლ ი ხ ა ლ ს ი ' )

საბჭოებმა ამას წინად იდღესასწაულეს ათი წლის თავი თავისი სამხედრო ბატონობისა საქართველოში.

ეს მოხდა 1921 წ. 25 თებერვალს, როცა ბოლშევიკების ჯარებმა დაიკავეს საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქი—თფილისი. რამდენიმე კვირის განმავლობაში, მიუხედავად გმირული წინააღმდეგობისა, მთელი მხარე დამორჩილებულ იქნა და იმ დღიდან მთელი ქვეყანა ხედავს თავისუფალი ერის წამებას, რომლის ერთად ერთი ბრალი ის იყო, რომ ენდო ხელშეკრულებას.

საბჭოთა რუსეთმა საქვეყნოთ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა 1920 წ. 7 მაისს და დასდვა მასთან მეგობრობის ხელშეკრულება. 1921 წ. 11 თებერვალს, ომის გამოუცხადებლად, ბოლშევიკების ჯარები ერთსა და იმავე დროს ოთხის მხრით შემოესივნენ საქართველოს; ბოლშევიკების მოკავშირე თურქებმაც შემოუტყეს სამხრეთით. ეს იყო დაპყრობა გაუგონარი. ყველას ახსოვს ალბად, რომ 1921-23 წლ. საქართველოში მშვიდობიანი დემონსტრაციები მოხდა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ ამახს მოყვა ათასეულთა შეპყრობა და გადასახლება და ასეულთა დახვრება. რაც შეეხება 1924 წ. აჯანყებას, ამან შეიწირა სიცოცხლე სული ათასი საუკეთესო ქართველისა. დავასახელებთ სხვათა შორის ქუთაისის მოხუცს მიტროპოლიტს ნაზარს და ყოფილ მინისტრს ხომერკის, რომელიც დატუსაღებული იყო ერთი წლით ადრე აჯანყებამდე.

საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი, შეკრებილი ქენევაში, ერთხელ კიდევ მხურვალე პროტესტს აცხადებს იმ გაუგონარი ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლი შეიქნა საქართველო 1921 წელს, და აგრეთვე იმ სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებიც ამას მოჰყვა. იგი აღიარებს, რომ ერთს წუთსაც არ შესუსტებულა ქართველი ერის მორალური სიმტკიცე და მისი ნაციონალური შეგნება ისევ შეუღრეკელია. ეს მას აძლევს შემთხვევას გამოხატვას ხმამაღლა თავისი პაცივისცემა დაჩაგრული ქართველი ერისადმი.

საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტმა უწყის, რომ საქართველოს საკითხი ერთა თავისუფლების საკითხია და იგი იმედით შეჰყურებს მის განთავისუფლებას, რომელიც დაუბრუნებს საქართველოს რესპუბლიკას წინანდელს სუვერენობას და სრულს დამოუკიდებლობას.

საქართველო. დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი.

\* ქვემოდ დაბეჭდილი მოწოდება გამოქვეყნებული იყო შვეიცარიის გაზეთებში პირველ მაისის ნომერში და ყველამ თავის მხრით მხურვალე წერილები უძღვნა საქართველოს.

**დავით კლდიაშვილი**  
(1862—1931)

აპრილის 25, სოფ. სიმონეთში გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი, ავტორი «სოლომონ მორბელაძის», «სამანიშვილის დედინაცვალის», «როსტომ მანველაძის», «ირინეს ბედნიერების», «დარისპანის გასაჭირის და სხვ.

განსვენებული დაასაფლავეს ტფილისში მთაწმინდაზე.

**რას სწავიან ბოლშევიკეზი**

ამას წინად ბერლინში მოხსენება გააკეთა ხუთწლეულის შესახებ პრფ. აუჰავენმა, ცნობილმა ეკონომისტმა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში და ზედმიწევნით იცნობს იქაურ მეურნეობას. მომხსენებელის აზრით: ბოლშევიკებმა ბევრი ახალი ქარხანა და ფაბრიკა გახსნეს, მაგრამ არსად არა სჩანს სამეურნეო ანგარიშიანობა. ყოველი მეურნეობის აზრი ისაა, რომ ხალხის კეთილდღეობა გააუმჯობესოს, რუსეთში კი ამას ვერ ვხედავთ—იქ ხალხი უფრო გაღარიბდა და დაიშრა. შრომის ნაყოფიერება ეცემა, სამაგიეროდ იზრდება ნაწარმოების ღირებულება და მრავლდება ბრაკის რიცხვი. ყველაფერი კეთდება ულახათობით, უხალისობით—არავის აქვს ინტერესი და სიყვარული; ყველა ტერორის ქვეშ მუშაობს. ასეთივე ამბავია სოფლის მეურნეობაში. არც სოფელში, არც ქალაქის ინდუსტრიაში წარმოება არ ფარავს თავის ხარჯს და მხოლოდ ხაზინის დახმარებით არსებობს... ძნელია იმის თქმა, თუ რამდენხანს გაგრძელდება ბოლშევიზმი. არაა მოსალოდნელი, რომ ხალხის ამბოხებამ წააქციოს იგი, მაგრამ ომი კი აუცილებლად დაამხობს. შესაძლებელია აგრეთვე დიდი შედეგები ექნეს შინაურ პარტიულ განხეთქილებას, რომელიც სრულებით არაა დამცხრალი.

ბოლო დროს ევროპიულ პრესაში სულ სხვანაირი აზრიც გაიშალა ხუთწლეულის შესახებ. ბევრი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ხუთწლიანი გეგმა ნაწილობრივად მაინც განხორციელდება, რომ ამ გეგმის მიზანია არა საერთოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიური მდგომარეობის აწევა, არამედ ომის მომხადება—ბოლშევიკები ანვითარებენ ისეთ მრეწველობას, რომელიც გამოადგებათ ომისათვის. ცოცხალი ძალა მათ საკმაოდ ყავთ და ცთილობენ ტენიკურად და ქონებრივად მოემზადონ ომისთვის. რამდენიმე ხანში ამას შესძლებენ ბოლშევიკები, მაღლე მათ ყოფილებათ უძლიერესი საუკეთესო შეიარაღებული ჯარი და აუცილებლად დაეცემიან პოლონეთსა და რუმინიას და შემოიჭრებიან ევროპაში. საყურადღებოა, რომ დღეს ამ აზრს იზიარებს რუს ემიგრანტების გაზეთი «ბოს. ნოვ.», რომელიც

აქამდის სულ იმის ცდაში იყო, რომ ხუთწლედი გაემსხარავებია. ევროპიული პრესაც უფრო ფხიზლად უკვირდება ამჟამად ბოლშევიკების მუშაობას და არკვევს მოსალოდნელ საფრთხეს. ფრანგულ სერიოზულ ჟურნალ «კორესპონდანს»-ში ამას წინად დაიბეჭდა წერილი პანრი როლენისა, რომელმაც ორტომიანი წიგნი გამოსცა რუსეთის რევოლუციის შესახებ. როლენი დაწვრილებით არკვევს ხუთწლეულის წარმოშობას და მიზანს და ამბობს, რომ მისი ერთადერთი დანიშნულებაა ომის გამოწვევა ევროპაში: ბოლშევიკები პტიკობდენ, რომ დიდს მსოფლიო ომს აუცილებლად მოყვებოდა სამოქალაქო ომები და რევოლუციები ევროპაში. ეს იმედი გაუცრუვდათ. მერე მაინც იმის რწმენა შეერჩათ, რომ კაპიტალიზმი უდიდეს კრიზისს განიცდის და ევროპის პროლეტარიატი სოციალურ რევოლუციას მოახდენს. არც ეს რწმენა გაუმართლდათ. ახლა ფიქრობენ, რომ თვითონ ჩაერიონ პირდაპირ ევროპის საქმეებში, იარაღით შემოიჭრან ევროპაში, გამოიწვიონ საყოველთაო არევდარევა, შეიარაღონ მთელი ქვეყნის პროლეტარიატი და გაუძღვენ მას საყოველთაო რევოლუციის მოახდენად.

ამავე საკითხს ეხება ფრანგ. გაზეთი «ჟე ს. პარტუ», რომელიც ამტკიცებს, რომ გეოგრაფიულ სტრატეგიული მდგომარეობა ხელს უწყობს საბჭოთა რუსეთს. ბოლშევიკებს დღეს მშვენიერად გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარი ჰყავთ. სულ ადვილად შეუძლიათ 30-35 დივიზია გადმოისროლონ რუმინიასა და პოლონეთში და დაიხმარონ გამოუღვევლი რეზერვი. რუმინია და პოლონეთი მას ვერ გაუმკლავდებიან, მით უფრო რომ რუსეთს პირდაპირ დუ არა პირდაპირ დაეხმარებიან გერმანია, ჰუნგრეთი და იტალია. ევროპაში კვლავ დაინთება ომის ცეცხლი, რომელიც ვინ იცის რთვორ განვითარდება და რა სახეს მიიღებს. გაზეთი აფრთხილებს საფრანგეთის საზოგადოებას, რომელმაც თავი არ უნდა მოიტყვილოს იმით, რომ ვარშავა და ბუქარესტი შორსაა პარიზიდან. «განა საბრძოლველად შორს არ იყო?» ასე ათავებს გაზეთი წერილს.

**მ თ ი ე ლ თ ა შ ო რ ი ს**

გამოვდა მთიელთა სახალხო პარტიის ორგანოს («გორცი კავკასი») მე 21-24 ნომერი, რომლის თავში მოთავსებულია შემდეგი მოწოდება ცენტრალურ კომიტეტის:

«ძმებო მთიელებო! ჩვენმა ცხოვრებამ, რომელიც წარსულში აღსავსე იყო განსაცდელით, გვასწავლა ერთდული მეგობრების დაფასება. ეს ბრძნული წესი არ უნდა დავივიწყოთ დღესაც, ვინაიდან წინანდელზე უფრო საშიშია დღევანდელი საფრთხე, რომელიც ემუქრება ჩვენს სამშობლოს. უკვე ათი წელია, რაც დაგვეუფლა წითელი დესპოტია და უფრო და უფრო ვგრძობდებით, რომ მას უნდა ჩვენი მოსპობა. ამისთვის ცდილობენ ჩვენს დაუძლიერებას, რომ მით გაიადვილონ მისი მიღწევა. ფიქრობენ

ჩვენს დანაწილებას, დათიშვას, მეგობრების ჩამოშორებას, რათა უფრო მალე დაგვძლიონ თითუღლად.

საბჭოთა მთავრობა პირველ დღიდანვე სისტემატიურად ახორციელებს ამ თავის პოლიტიკას. თქვენ გახსოვთ, რომ ჯერ კიდევ 1920 წელს ბოლშევიკები წინაღუდგნენ ჩვენი სამშობლოს გაერთიანებას, გაყვეს იგი დადესტინისა და მთიულთა რესპუბლიკებად და ამასთანავე ცალკე გამოყვეს ადიგეს და შაპსუგეთის ოლქები. იცით ისიც, რომ შემდეგ 1924 წელს «მთიულთა რესპუბლიკა» დაანაწილეს რამდენიმე ცალკე «ავტონომიურ» ოლქად და მოუსპეს მათ უშუალოდ ურთიერთობის საშუალება. გაიხსენეთ, რომ ესევე ბედი ეწვია ეხლა ხან ერთ ერთს ამ ოლქთაგანს ყარაჩა-ჩერქეზეთს, რომლისაგან შექნეს ცალ-ცალკე ერთეულები.

თქვენ გარწმუნებენ, რომ ამას სხადიოდენ თქვენივე სარგებლობისა და საჭიროებისათვის. მაგრამ ეს არაა მართალი. საბჭოთა მართველობა ხელმძღვანელობდა მხოლოდ ძველი გამოცდილი მიზნით: «დაანაწილე და იბატონე», და ახოცელებდა პირად ინტერესებს.

გახსოვდეთ ეს და, ყოველი სახსარით ჩაშალეთ მოძალადეთა მისწრაფება. მუდამ გქონდეთ ერთმანეთთან კავშირი, ერთად ებრძოლეთ წითელ უზუროპატორებს, ერთად გაშალეთ ჩვენი კულტურული ძალები. გახსოვდეთ, რომ თქვენ ერთი დედის შვილები ხართ, და ერთმა და იმავე ძუძუმ გამოგზარდათ ყველანი.

ნუ დაივიწყებთ აგრეთვე, რომ კავკასიაში მართლნი არა ხართ. მთის გადაღმა ცხოვრობენ ჩვენი ძმები, რომელთა გული სცემს ჩვენს გულთან ერთად. ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოს, ადერბეიჯანს და სომხეთს სწადიათ იგივე, რაც თქვენ და ამიერიდან ჩვენი და მათი ბედი განუყოფელია. თქვენი საკუთარი თავის გადასარჩენად და მთელი კავკასიის დახმისათვის უნდა განიმსჯვალთ კავკასიის ერთობისა და მთლიანობის გრძობით. თუ დღეს წითელი უღელი გვაწევს კისერზე, იმიტომ, რომ თავის დროზე ვერ მოვაწყვეთ თანხმობა და კავშირი. კავკასიის ერთობა, კავკასიის რესპუბლიკების კონფედერაცია რევოლიუციის პირველ დღიდანვე უნდა ყოფილიყო ყველა კავკასიელ ერთა საერთო მისწრაფება. თქვენ და თქვენი ხელმძღვანელები მუდამ ამ კონფედერაციის მომთხოვნელები ვიყავით და არა ჩვენი ბრალია, თუ იგი დღემდის არ მოეწყო. უნდა განვაგრძოთ მუშაობა ამის განსახორციელებლად, ვინაიდან ჩვენი ხსნა და კავკასიელ ერთა გარშემო არსებული პირობები ამას მოითხოვენ ჩვენგან დაჟინებით.

ჩვენი ძვირფასი საერთოკავკასიის თავისუფლებისათვის მოგიწოდებთ მკიდრით შეუერთდით ერთმანედს და შეუერთდით ჩვენს ძმებს—ადერბეიჯანელებს, ქართველებს და სომხებს.

გაუმარჯოს მთიულთა გაერთიანებულს და დამოუკიდებელ რესპუბლიკას. გაუმარჯოს დამოუკიდებელ კავკასიის კონფედერაციას».

### ძაკრთული საღამო

ამ თვის 26, სამშაბას, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეცამეტე წლის თავზე, პარიზში «ვიქტორ პიუგოს» დარბაზში (46-ter, rue S. Didier. მეტრო ტროკადერო) ქართველთა საზოგადოება გამართავს ქართული მუსიკის საღამოს. სხვათა შორის «პარიზის სიმფონ. ორკესტრის» პირველი სოლისტი ბარჩი ვიოლონჩელზე შეასრულებს ალექ. ჩერვინის «ქართულ რაფსოდიას», ავტორის აკომპანიმენტი. საღამოში მონაწილეობას იღებენ ქ. ავნატომოვისა, დოლოგოვისა, შავერზაშვილისა, ხუნწარია და ბ. ნანობაშვილი და გუნდი ვ. წილოსანის ლოტბარობით. დასასრულ გაიმართება ლექური.

### წიკილები რედაქციის მიმართ

#### I.

ბატონო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემულ ორგანოს საშვალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ყველა იმ პირთ და უცხოეთში მყოფ ქართულ ორგანიზაციებს, რომლებმაც კეთილინებებს და გრძობით საყვარე სამიძირის ხმა მომაწვდინეს ჩემი დაუვიწყარ ძმის ნოე გოგუაძის ქართველ ერის მტრების ტყვეობაში უდროვოდ დაღუპვის გამო.

პატივისცემით ვალდია გოგუაძე.

#### II.

პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში, რომ ქ. პრალაში მოგროვილი ბ-ნ ე. ლომთათიძის მიერ ფული «ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტმა» მიიღო 224 ფრ. 60 სანტ. წარსული წლის დეკემბერში, ხოლო 298 ფრ. 50 სანტ. ამა წლის აპრილში.

კომიტეტი უღრმეს მადლობას უძღვნის ბ-ნ ე. ლომთათიძეს და შემომწირველ მათ მუდმივი ყურადღების და დახმარებისათვის.

კომიტეტის თავმჯდომ.: გლ. აფხაზისა.  
მოლარე: გლ. დგვანაშისა.

დახმარება გადასახლებულთათვის.

გვთხოვენ გამოაცხადოთ: საქარ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო ქართველ პოლიტიკურ გადასახლებულთათვის:

ოდენკურის სოც.-დემოკრ. პარტიის ორგანიზაციისაგან ათას ას სამოცდა თუთხმეტი (1175) ფრ.

პრალაში შეგროვილი ე. ლომთათიძის მიერ ექვსას სამოცდაათი (670) ჩენ. კრონა.